„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№8 (200)
აგვისტო
2015 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეჩვიდმეტე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“-ს ორასე გამოცემა

ვულოცავთ

1999 წელს გამოვიდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ პირველი ნომერი, რომელიც, ჩვენი აზრით, მისასალმებელი მოვლენა იყო ამ რეგიონის საზოგადოებრივ-კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში; სამცხე-ჯავახეთი თავისი ისტორიით, კულტურით, მწერლობით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობით, ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა საქართველოში; მარტო ახალციხის უნივერსიტეტის გახსნა რად ღირდა! ამ სასწავლებლის დამაარსებლებმა, რომელთა შორის, უპირველესად, უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მერაბ ბერიძე უნდა ვახსენოთ, სახელმწიფოებრივი, მამულიშვილური მიდგომით და გააზრებით, ამ კუთხეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი, საგანმანათლებლო-ისტორიულ-კულტურული ფუნქცია დაუბრუნეს.

ამის შემდგომ იყო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დაარსება, რომელიც არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ! გაზეთმა, მისი მთავარი რედაქტორის, გულანთებული შემოქმედის, ავთანდილ ბერიძის თაოსნობით, თავის თავზე იტვირთა დიდი მისია: სრულიად საქართველოსთვის წარმოეჩინა ის კულტურულ-ისტორიულ-ლიტერატურული პოტენციალი, რაც ამ კუთხეს ოდითგანვე გააჩნდა! უნდა ითქვას: „ლიტერატურულმა მესხეთმა“ ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა; მისი ყოველი ახალი ნომერი იკითხება დიდი ინტერესით; აქ წარმოდგენილი პოეზია, პროზა, თარგმანები, ხალხური შემოქმედება, თქმულებები და ლეგენდები, ისტორიული ნარკვევები, აქტუალური, პრობლემური პუბლიცისტური წერილები, გულგრილს არავის ტოვებს. ამ გაზეთის საშუალებით საქართველომ არაერთი ნიჭიერი მწერალი, მეცნიერი, ხალხური მთქმელი, ხელოვნების მუშაკი გაიცნო, რაც ქართველი ერის ინტელექტუალური შესაძლებლობების საგულისხმო გამოვლინებაა და ჩვენი სულიერების უკვდავ და მარადიულ საგანძურს წარმოადგენს!

ვულოცავთ „ლიტერატურულ მესხეთს“, მის სარედაქციო საბჭოს და ერთგულ მკითხველებს გაზეთის მე-200-ე ნომრის გამოცემას და ვუსურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს!

პატივისცემით,
საუკეთესო სურვილებით, –
გაღათერ არაბული,
საქართველოს მწერალთა კავშირის
თანათავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკრის“
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე

გულით მიხარია

გულწრფელი სალამი „ლიტერატურული მესხეთის“ შემოქმედებით კოლექტივს ბატონი **ავთანდილ ბერიძის** ხელმძღვანელობით.

როცა ამ პატარა საიუბილო წერილის დაწერა გადავწყვიტე, თვალი გადავავლე ჩემს სამუშაო ოთახში შემორჩენილ გაზეთებში ასახულ ლიტერატურული მესხეთის ცხოვრებას, რომლითაც ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული, რამეთუ, ყველაფერთან ერთად, ჩემი ფესვებიც ამ საოცრად ლამაზი და გმირული ისტორიის მქონე მხარიდან იწყება.

ახლა, როცა ამ ყველაფერზე ვფიქრობ, კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში მესხეთის ფრთას გამორჩეული ადგილი უკავია და დამსახურებულ შეფასებას ელოდება.

გულით მიხარია, რომ „ლიტერატურული მესხეთი“ ათეული წლების წინათ დამკვიდრებულ ტრადიციებს დღემდე არ არღვევს და ყოველ მომდევნო ნომერში ახალ-ახალი ნიმუშებით სულს გვილამაზებს.

ღმერთმა ქნას, ეს შემოქმედებითი ცეცხლი თუ ენერგია მუდამ შერჩენოდეს ამ მშვენიერ გაზეთს.

მადლობა თქვენ, ბატონო ავთანდილ!

მადლობა თქვენს შემოქმედებით კოლექტივს ამ სიკეთისათვის.

მრავალჟამიერ „ლიტერატურული მესხეთის“ ძლიერ ხმას!

სიყვარულით და პატივისცემით,
თქვენი დავით თედორაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

სახელოვანი გზა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ საიუბილეო – მე-200 ნომერი გამოვიდა.

რა შეიძლება ითქვას განვილი წლების შესახებ? ძალიან ბევრი სასიკეთო საქმეს დაადგა თავი გაზეთმა. მათგან აღვნიშნავ ზოგიერთს: უპირველეს ყოვლისა, გაზეთი საქართველოს ამ უძველესი მხარის ყოველდღიურ მაჯისცემას უგდებს ყურს და დროულად ეხმიანება, ფხიზელ დარაჯად უდგას სამცხე-ჯავახეთის კულტურულ ძეგლებს, ქართულ ეკლესია-მონასტრებს და იცავს უცხოთა ხელყოფისაგან; ქართული პოეზია, პროზა და ფოლკლორი უხვად არის წარმოდგენილი გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე და ა.შ.

ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ბატონო ავთანდილ,

თქვენ და თქვენს რედაქციას გულითადად ვულოცავ ამ საიუბილეო თარიღს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და თქვენებური ენთუზიაზმით გააგრძელეთ ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა დალოცვილ რუსთაველის მადლიან მინაზე.

პატივისცემით,
ბონდო არველაძე,
პროფესორი

ღმერთმა დაგლოცოთ

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რადაქციას, მის რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძესა და გაზეთის კოლექტივს სულითა და გულით ვულოცავ საიუბილეო თარიღს. გისურვებთ მესხეთის უძველეს მხარეში ეროვნულ საქმეს მუდამ ამგვარი შემართებითა და მიზანდასახულობით გაძღოლოდეთ.

ღმერთმა ყველა ნამდვილ ქართველს შეაძლებინოს თქვენი მხარდაჭერა აწ და მარადის.

პატივისცემით,

იკა ქადაგიძე

***

ვულოცავ „ლიტერატურულ მესხეთს“ დამსახურებულ იუბილეს. ყოველთვის წინააღმდეგი გახლდით აზრისა, რომ ნამდვილი ლიტერატურა მხოლოდ დედაქალაქში იქმნება. რეგიონებში მკითხველიც უფრო გულწრფელია, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა სიტყვის მაგიური მნიშვნელობისა... ღმერთმა არც სიტყვის ხალხი მოგაკლოთ და არც ამ სიტყვის დამფასებელი!

პატივისცემით,

ვახტანგ ღლონტი

დიდი სიყვარულით გილოცავთ

ღვთიური სიყვარულით ვულოცავ ჩემს სათაყვანებელ „ლიტერატურულ მესხეთს“ 200-ჯერ დაბადების წმიდა რიცხვს. უნიკალურფურცლებიანი ეს გაზეთი, ლეგენდარული კუთხის მეხოტბე, ციური საყვირი, ცის კაბადონიდან გაჟღერებული ზარია სიყვარულზე, პატრიოტიზმზე, რაინდობაზე, დაუვიწყარ ისტორიაზე, მეგობრობაზე; ლიტერატურა და ხელოვნება ხომ თქვენი ფილტვია ჯანსაღი.

მარადიული თქვენი სანუკვარი ხმა იმ შორეულიდან მოდის, როდესაც მტკიცე ციხეებით და გალავნებით იყო გარშემოტყმული კოლხურ-იბერიული ისტორიული ქვეყანა. უძველესი კუთხის კოსმოსურობა დედა მზესთან კურთხეულია. ნათლიაა თქვენი მთვარე და ვარსკვლავები... ცაზე შეფენილი ვარსკვლავების რიცხვს მისწეოდეს ჩვენი „ლიტერატურული მესხეთის“ გამოსვლების რაოდენობა!

თქვენი ემელიანე (რეზო) ადამია

ჩვენი სასიქადულო გაზეთის რედაქტორს

დღეს თქვენ აკეთებთ უდიდეს ქართულ საქმეს, რადგან სულს შთაბერავთ მესხეთს, ქართული კულტურის აკვანს. უდიდესი პატივისცემით გილოცავთ მე-200 გამოცემის საიუბილეო თარიღს.

ყოველი თქვენი ახალი გამოცემა სავსეა ოპტიმიზმით, რწმენით, ღირსებით და სიდარბაისლით, ის, რაც მესხ კაცს მუდამ გააჩნდა.

ჯაყელთა საგვარეულოს სახელით,
პროფესორი
კახაბერ ჯაყელი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარ რედაქტორს ბ–ნ ავთანდილ ბერიძეს

ბატონო ავთანდილ, თქვენი გაზეთის მკითხველები, მესხეთის ლიტერატურული ცხოვრებით დაინტერესებული ინტელეგენცია, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექცია და ამავე ბიბლიოთეკის მეცნიერ-მუშაკები გულწრფელად გილოცავენ თქვენი სახელოვანი გაზეთის მე-200 ნომრის გამოცემას და გისურვებენ ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ თავისი შინაარსით სცილდება საქართველოს ისტორიული კუთხის ლიტერატურულ ცხოვრებას. იგი გვევლინება მესხეთის სულიერი აღორძინების, პატრიოტული გრძნობების გაღვივებისა და ამ კუთხეში ქართული ხმის უკვდავების საწინდრად. „ლიტერატურული მესხეთი“ ორგანული გაგრძელებაა პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე იმ პერიოდული გამოცემებისა, რომლებსაც სათავე დაუდეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველმა მამულიშვილებმა.

ღრმა პატივისცემით:

მირიან ხოსიტაშვილი, აკაკი ბრეგაძე, გიორგი სარაჯიშვილი, გიორგი გაბუნია, ლევან ფრუიძე, ელდარ ბუბულაშვილი, ელგერდ გატიაშვილი, ბეჭან ხორავა, გურამ თაყნიაშვილი, გურამ ყორანაშვილი, გელა საითიძე, ანზორ სიჭინავა

ეთერ ზარიძე

უშენოდ

დარდმა თავ-გზა ამიბნია,
რა ძნელი ყოფილა უშენობა...
გარეთ სუსხიანი ამინდია,
არ ვიცი, ტკივილს რა ვუშველო.
ზამთარმა წარსული გამახსენა,
როცა გულს შენი სითბო ათბობდა,
ფიქრებმა აღარ მომასვენა,
ვერსად გავექცევი აწმყოდან.
სევდამ ტკივილად ჩამობარდნა,
სული ამოქოლა ნამქერით,
ვეღარ ამოვშალე ხსოვნიდან
ლამაზი თვალების ჩანჩქერი.
რა ძნელი ყოფილა მარტოობა,
მზეც კი აღარ მზეობს უშენოდ...
წარსულის ლანდი არ მასვენებს,
ტკივილს და დარდებს რა ვუშველო?

***

ფიქრო, ტკივილთან ღამენათევო,
ვიცი, შენც წახვალ და მიმატოვებ,
სტრიქონი ცრემლით დაინამება,
დავიმეგობრებ კვლავ სიმარტოვეს.
მომხიბვლელ ღიმილს ვეღარ ვიფერებ,
დახავსებულა ყველა ნუგეში,
და მარტოსული ჩემი სიბერე,
ცრემლად გაბრწყინდა თვალთა გუგებში.
ამაყი სული ქართან ნავარდობს,
ვერ ეგუება ბედის მარწუხებს,
გულისთქმას ისევ ლექსებს გავანდობ,
სხვას ჩემი დარდით ვერ შევაწუხებ.
დანაღმულია ჩვენი ბილიკი,
გამუქებულა ღია ფერები...
ტკივილს ღიმილის ნიღაბს მოვარგებ
და ყველას წრფელად მოვეფერები.

პოეტი ქალი

მაყვალა გონაშვილს

პოეტი ქალის სიყვარული სულ სხვა ფერია,
გრძნობის სიწრფელით ემსგავსება
ღვთიურ ფერიას,
პოეტი ქალის ცრემლი ღაწვზე
ისე ელვარებს,
რომ მისი შუქი გაანათებს მაღალ
მწვერვალებს.
ის სხვებს არა ჰგავს, სიყვარულის
ფრთებით დაფრინავს,
უთქმელი დარდი რითმად ქარგა,
ლექსად გაფინა.
პოეტი ქალი – სიკეთის და
სიბრძნის სათავე,
მის ირგვლივ თვითონ ანგელოზნიც
მეჯლისს მართავენ.
სხვაგვარად უყვარს მას სამშობლოს მზე
და ბუნება,
ყველა ყვავილს და ფოთოლს თბილად
ესალბუნება.
ის განა მხოლოდ დედაა და მხოლოდ ქალია?
ის – პოეზიის ღირსეული დედოფალია.
პოეტმა ქალმა ერთგულებაც სხვაგვარი
იცის,
მტკიცეა მისი მეგობრობა, სიტყვა და ფიცი.
ამ ქვეყანაზე სულ სიკეთის გზებით უვლია,
უბრალოება მისი დიდი სამკაულია.
ის სხვებს არა ჰგავს, სიყვარულის
ფრთებით დაფრინავს,
უთქმელი დარდი რითმად ქარგავს,
ლექსად გაფინა.

ორი თარიღი

სიკვდილისთვის ერთია
მდიდარი და ღარიბი,
საფლავს ბოლოს დარჩება
მხოლოდ ორი თარიღი.
უნდა ჰგავდეს მზის ჩასვლას,
ჩვენი გარდაცვალება...
დარჩეს სუფთა სახელი
ლამაზ გარდაცვალებად.

გურამ ჭავჭანიძეს

ედარები ზეკაცს
ჭავჭანიძე გურამ,
როს მოაფრენს მზისკენ
შენი ლექსის ქურანს.
შემოქმედის ნიჭით
ჭაბუკურად იწვი,
ღმერთმა დაგანათლა
ხელოვნების ნიჭი.
ლაჟვარდებში დაჰქრი,
შენი მუზის რაშით,
***
სევდანარევი ფიქრების იქით,
მივიწყებულ ტკივილებს
ქარი აფრიალებს.
ყველამ დამივიწყა,
სიმარტოვით გაჟღენთილმა
კედლებმა
თვით სიმარტოვე მიატოვეს და მეც
ყველამ მიმატოვა.

***

ცაზე ჰკიდია უთვალავ მძივად
ვარსკვლავთა ფარდა,
მთვარიან ღამეს ვინ ვინატრო
ახლა შენს გარდა.
დრო სწრაფად გადის და თან მიაქვს
რაც ასე მწამდა,
რაც მიხაროდა, რაც მებადა,
რა ცეცხლიც მწვავდა,
დრო მაინც გადის, ამ სამყაროში
მე რაღაც დამრჩა.

ივეტა პავლიაშვილი-ლოხნაძე

ხმა გვიხმობს თამარისაო

(ხალხურ მოტივებზე)

ნაკურთხი მიწის შვილნი ვართ
გვირგვინოსანი მზისაო,
სხვას ჩემი დარდით ვერ შევაწუხებ.
დანაღმულია ჩვენი ბილიკი,
გამუქებულა ღია ფერები...
ტკივილს ღიმილის ნიღაბს მოვარგებ
და ყველას წრფელად მოვეფერები.



პოეტი ქალი

მაყვალა გონაშვილს

პოეტი ქალის სიყვარული სულ სხვა ფერია,
გრძნობის სიწრფელით ემსგავსება
ღვთიურ ფერიას,
პოეტი ქალის ცრემლი ღაწვზე
ისე ელვარებს,
რომ მისი შუქი გაანათებს მაღალ
მწვერვალებს.
ის სხვებს არა ჰგავს, სიყვარულის
ფრთებით დაფრინავს,
უთქმელი დარდი რითმად ქარგა,
ლექსად გაფინა.
პოეტი ქალი – სიკეთის და
სიბრძნის სათავე,
მის ირგვლივ თვითონ ანგელოზნიც
მეჯლისს მართავენ.
სხვაგვარად უყვარს მას სამშობლოს მზე
და ბუნება,
ყველა ყვავილს და ფოთოლს თბილად
ესალბუნება.
ის განა მხოლოდ დედაა და მხოლოდ ქალია?
ის – პოეზიის ღირსეული დედოფალია.
პოეტმა ქალმა ერთგულებაც სხვაგვარი
იცის,
რას დაგაკლებს წლები
ან ფანტელი თმაში?
გაქვს ბავშვური გული
და ღიმილი წრფელი,
შემართებით გევლოს
ქვეყნად ასი წელი!

ეთერ ფერაძე

როცა

როცა ტირიფი დაიწყებს ტირილს,
როცა წახვალ და მეტყვი: ნახვამდის!
როცა თვალებში ჩადგება სევდა,
როცა არავინ მეტყვის: დაწყნარდი!
როცა შენ წახვალ, მე მაშინ გეტყვი:
მაინც მიდიხარ?
კარგი, ნახვამდის!

***

წვიმს,
ყველაფერი სხვაგვარადაა...
ცხოვრება ხაფანგში
გაბმულ თაგვს ჰგავს, –
ხაფანგი ცხოვრებაა,
თაგვი კი – ადამიანი.
ცხოვრება ან გამოგიჭერს
ან ვერა.
ყველა ადამიანს
თავისი ცხოვრება აქვს და
თვითონვე მართავს მას...
შემდეგ წუწუნი კი
მხოლოდ
სულელებს სჩვევიათ.

ლევან ცისკარაძე

ბეტონის ქალაქი

ბეტონის ქალაქი...
მადლი სულ დავკარგეთ,
აქ ხომ სიცოცხლე ჭირს,
ბეტონის ქალაქი
ცრემლებით დავნამე,
ნასახი არ დარჩა ხის...

ვარდები ვაფინე
ბეტონის ქალაქს და
ცრემლებსაც უთქმელად ვღვრი,
რადგანაც ნამდვილი
გრძნობები სულს ღაფავს,
მგელს ნიღაბი აქვს ცხვრის,
ოცნება დავმარხე
ბეტონის ქალაქში
იმედი დამრჩა ღვთის.

ჩაჟანგდა მახვილი ქარქაშში,
ფრანგულს ძალა არ აქვს ჭრის,
ბეტონის ქალაქის ცისკარი მამშვიდებს,
მზის ჩასვლა კაცსა ჰგავს მშვიდს.
ბეტონის ქალაქი...
ბეტონის ქალაქი...

მიხეილ გელაძე

ოშორა

(სოფელ ოშორაში ჩასახელებულ თანასოფლელებს)

გავცქერ ოშორას, ხან ოთას, –
აჭარას რამ განმაშორა?
მადლობა უფალს, რომ შოთას
სავანეს არ დამაშორა.
ოშორა, მხოლოდ ოშორა,
ოშორა სულ არ მეშორა!

თავის წილ ლუკმას დამითმობს,
სულ არ მყავს ჩემი ძმა შორა,
ისევ თამარის მზე მათბობს,
როდი დამირჩა ცა შორა,
ოშორა, მხოლოდ ოშორა,
ოშორა სულ არ მეშორა!

მთაში ცხვრის ფარა გავშალე,
დავიმეზობლე ორგორა,
ბარში დოვლათი ვამრავლე,
კაკლის ძირები ხოშორა,
ოშორა, მხოლოდ ოშორა,
სამოთხედ მექცა ოშორა!

თმოგვი, ვარძია, ხერთვისი,
ვერავინ ჩამომაშორა,
მტკვარს ჩემი ოფლიც ერთვის აქ,
მიიკლაკნება რა შორა.
ოშორა, მხოლოდ ოშორა,
ოშორა სულ არ მეშორა!

რუსთავს რუსთველი მიმშვენებს,
ყანებს – სიმინდი ქოჩორა,
წიწილა კრუხს არ მისვენებს,
რძით სავსე ჯიქანს – ბოჩოლა,
ოშორა, მხოლოდ ოშორა,
ოშორა სულ არ მეშორა.

რიყეთის წყარო

ვიდრე გოდერძის მთას მიაღწევდე,
ბეშუმს, ქვაბლიანს ხმას მიაწვდენდე,
მზე შეგახვედრებს ღვთის სამყაროსთან,
ბროლისკისერა ერთ ციე წყაროსთან.
რიყეთის წყაროს ჩუხჩუხი გიწვევს,
აზარფეშაში ბროლის მძივს გიფრქვევს,
სულ დაგიმონებს ბუნების ეშხი, –
გინდა, რომ ისევ აივსო პეშვი.
ჭადრის ხეების შრიალი გართობს,
კაკლის ჩეროში სიმღერა გათრობს,
რა შეედრება ზღაპრულ სამყაროს,
ბროლისფაფარა რიყეთის წყაროს.
რიყეთის წყარო გამოგაფხიზლებს,
გაგიმასპინძლებს ნათესავს ღვიძლებს,
მთა გაზიარებს ახალ სამყაროს,
ამ უკვდავების ანკარა წყაროს.
გახედავ ზეგანს ნაქერალს, ზორტნალს,
მერცხლის ბუდეებს ვერვინ დაკორტნავს,
აქ ისევ მღერი ცის ნარინჯქალო,
აქ ისევ მოსჩქეფ რიყეთის წყაროვ.
თუკი ამ მხარეს მგზავრობა გიწევს,
იცოდე, დიდი მანძილი გიძევს,
მზე შეგახვედრებს შენ წილ სამყაროს, –
ბროლისკისერა რიყეთის წყაროს.
ჭანჭახი დაგფენს მოქარგულ კალთებს,
დალოცავს პატრონს, მის ძირძველ ქართველს,
რიყეთის წყარო ყველას ხელს ართმევს, –
მთის დაფასება სუყველას მართებს!

ქართული ანარქიზმის პერიპეტიები

ვარლამ ჩერქეზიშვილი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიხეილ წერეთელი

მიტროფანე ლაღიძე

ნესტორ კალანდარიშვილი

იკა ქადაგიძე

„არ დაივიწყო ანდერძი, გამხნევდი როგორც ლომია

ვისაც რომ ქვეყანა თუყვარს სიკოცხლე მისთვის ომია!“

ვაჟა

პლაგიატის თემა მუდამ აქტუალურია. გაუნელებელი ვნებათაღელვის ორბიტაზე არა მხოლოდ მებრძოლი პუბლიცისტები ან ჭირკოდილა მედროვე გრაფომანები მოექცევიან ხოლმე, არამედ, გამორჩეული ინდივიდებიც, ვისთვისაც პლაგიატის გამოაშკარავება სახელის მოხვეჭის ფარგლებს შორდება და გაცილებით მასშტაბურ მოვლენად განზოგადდება. ქართული ხასიათის გამოვლენა ამ თვალსაზრისითაც გვთავაზობს, ე.წ. „ქართული ვარიანტის“ გაშიფრვა შამპოლეონის შრომას ეთანაბრება, რადგან აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას ინტუიცია იძენს. სახელდობრ, თავისი დროის გამოჩენილ პლაგიატორებს, დედამიწას არც თუ სახუმაროდ რომ აზანზარებდნენ, უშეღავათო კრიტიკოსებად ქართველები მოევლინნენ! სოციალიზმის ადებტების გახმაურებულ ნააზრევს სწორედ ქართველმა შეუყენა წყალი და, აურაცხელ საბუთზე დაყრდნობით, ყალთაბანდთა ნაავკაცარი მეცნიერულად გააბათილა. მოკლედ, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი შულერთა ლუსტრაცია ჩვენი თანამემამულის სინდისზეა... ამის თაობაზე საბჭოურ კლიშეებში ჩაჭედილი საზოგადოება ნანლობრივაა ინფორმირებული. მას იმდენი სმენია, რასაც ინსტრუქცია ითვალისწინებს. მიუკერძოებელ სიმართლეს, მოგეხსენებათ, მასმედიაში წამლადაც ვერ წააწყდები, ამ მხრივ ინტერნეტის უნივერსალური შესაძლებლობებიც ხუნდება. არადა, სოციალიზმის მამამთავართა უშვერი გინება, რა ხანია, მოდაშია. შესაბამისად, დამატებითი ცნობების ათვისება, არასავალდებულოა, თუმცა, როდესაც ქართველების პერმანენტული უხერხემლობისა და უნიათობის ცხარე კამპანიას ვეწევით, სასურველია გამონაკლისზეც შევაჩეროთ არჩევანი. იმ მოღვაწის დავიწყება ნამდვილად არ ეგების, ვინც მსოფლიოში სახელგავარდნილი ყალთაბანდების წინააღმდეგ მთელი შეგნებული ცხოვრება შეუპოვრად იბრძოდა და, უკვე საკმაოდ ასაკოვანი, საქართველოს დამოუკიდებლობას არა მხოლოდ მწვავე და გაბედული წიგნებით, არამედ, იარაღით ხელში იცავდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტური წერილები ავტორის მრავალმხრივი ნიჭისა და გამორჩეული ერუდიციის სახიერი ნიმუშია. ბობოქარი ბიოგრაფიის პატრონი თავიდანვე მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებში აქტიურად მონაწილეობდა, თითქოს დრამატულ პერიპეტიებს საკუთარი ინიციატივით ეძებდა, რაც მის უდრეკ ნებისყოფას უფრო აღრმავებდა და ათვალსაჩინოებდა. იგი მსოფლიო ანარქიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურადაა მიჩნეული. ანარქიზმს, როგორც პოლიტიკურ მიმდინარეობას, საფუძველი დაუდო პრუდონის ნაშრომმა: „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“.

ილიას მოწადინებით ეს თხზულება „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი, ანარქიზმის ერთ-ერთი მამამთავარი, **კროპოტკინის** უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო. XIX ს-ის 80-იან წლებში მან მარქსიზმის ულმობელი კრიტიკით სახელი გაითქვა. სოციალიზმის ადეპტების: **მარქსისა** და **ენგელსის** ყალთაბანდობა მყარი არგუმენტებით გამოააშკარავა და აღმოაჩინა, რომ **ტროცკის** მიერ უკეთილშობილეს პიროვნებებად შერაცხული „მამები“ თავიანთ მოძღვრებას ევროპელ მეცნიერთა გაქურდვის ხარჯზე ქმნიდნენ და საყოველთაოდ გახმაურებულ დასკვნებსა და დებულებებს უყოყმანოდ ითვისებდნენ. კერძოდ, ვ.ჩერქეზიშვილმა დაადგინა, რომ სახელგანთქმული *„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“*, ცნობილი ფრანგი მოღვაწის, **ვიქტორ კონსიდერანის** ნაშრომის წმინდა წყლის პლაგიატი იყო. 1896-99 წლებში **ვ. ჩერქეზიშვილმა** ინგლისურ ენაზე გამოსცა *„ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“*, ხოლო ფრანგულად – „სოციალიზმის წინამორბედები“.

ქართველი ანარქისტის რკინისებურმა არგუმენტაციამ სოციალისტური სივრცე ერთიანად შეაზანზარა. საერთაშორისო სკანდალის აგორებისთანავე, მისი წიგნები არაერთ ენაზე, მათ შორის, ჩინურად და იაპონურადაც ითარგმნა. ქართველი ანარქისტის ნაშრომი, რომელსაც რუსულად „მარქსიზმის დოქტრინები“ ეწოდა, ოთხჯერ გამოიცა. ანარქისტული მოძღვრების თანახმად, მსოფლიოს საუკეთესო მოდელი სახელმწიფოს, კერძო საკუთრებას, ოჯახს, საზოგადოებას, ეკლესიასა და ეროვნულ ტრადიციებს სავსებით გამორიცხავდა.

ქართული ანარქიზმი მსოფლიო ანარქიზმის კალაპოტიდან თავიდანვე ამოვარდა, მისი არსი სათავეშივე გამოიკვეთა, რადგან ამ მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენელი ვ. ჩერქეზიშვილი, „ზომიერებში“ ირიცხებოდა, იგი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დამოუკიდებლად იბრძოდა. აქედან გამომდინარე, ქართულ ანარქიზმს ეროვნული მსოფლმხედველობა წითელ ხაზად გასდევდა, რაც, მიზნის მისაღწევად, სხვა პარტიის მესვეურებთან, თანამშრომლობას ითვალისწინებდა. ვისაც სამშობლოს ბედი აღელვებდა, პარტიების კონსოლიდაციის მომხრე იყო.

1904 წელს, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ხელმძღვანელის **გიორგი დეკანოზიშვილის** ინიციატივით ჟენევაში ინტერპარტიული კონფერენცია გაიმართა, რომელშიც ქართველი ანარქისტებიც (ვ.ჩერქეზიშვილი, მ.წერეთელი და კ.გოგელია) მონაწილეობდნენ. კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს ავტონომიის მოსაპოვებლად სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს თავიანთი წვლილი შეეტანათ. სოციალ-დემოკრატებმა კონსოლიდაციის იდეა დაიწუნეს, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა მკაცრად გააკრიტიკეს და პროტესტის ნიშნად კონფერენცია დატოვეს.

ძალზე საინტერესოა გ.დეკანოზიშვილის თაოსნობით სახალხო აჯანყებისთვის სამზადისი, რაც მხოლოდ სიტყვიერ ლოზუნგებს როდი ეფუძნებოდა, – სოციალ-ფედერალისტებმა იარაღის ყიდვა განიზრახეს, ამისთვის 60 000 ფრანკი შვეიცარიაში მყოფმა **ზუბალაშვილმა** გაიღო, მათ ჰოლანდიაში შეიძინეს გემი „სირიუსი“. ამ საქმეში ქართველებს ანარქისტი **ქრისტიან კორნელისენის ძმა** ეხმარებოდა.

ესოდენ მნიშვნელოვან აჯანყებაში ანარქისტების როლი გამოკვეთილია. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ანარქისტები, სხვადასხვა პარტიის წევრებთან ერთად, ქვეყნისთვის გარდამტეხ მოვლენებში გაბედულად მონაწილეობდნენ.

მარქსისტების დახასიათებისას, ძალზე საყურადღებოა ვ. ჩერქეზიშვილის თანამოაზრის, სახელოვანი მეცნიერისა და ფილოსოფოსის **მიხაკო წერეთლის** დაკვირვება. ანარქისტული იდეალებისთვის მგზნებარე მებრძოლი წერეთელი კოსმოპოლიტიზმს უარყოფით კონტექსტში განიხილავდა და ქართული კულტურის განვითარების შემაფერხებელ მოვლენად მიიჩნევდა. თავისი მასწავლებლის მსგავსად, მ. წერეთლის მსოფლმხედველობა ეროვნულ ცნობიერებას ემყარებოდა. ქართველი მარქსისტების ვიწრო, პარტიული ინტერესი, ეროვნული აზროვნების უარყოფა და მსოფლიო მუშათა და გლეხთა კლასთან ბრმა, განურჩეველი შერწყმის იდეა, მისთვისაც მიუღებელი იყო.

„ქართველებს ყველაფრის გადაჭარბება გვიყვარს და ჩვენი მარქსისტებიც ისე შორს წავიდნენ თავიანთი ანტინაციონალიზმით, რომ ხალხს აყვირებდნენ, – „არ გვინდა ავტონომიაო“ და, რაც, მართლაც, საკვირველია. არც ქართული ს.დ.-ული პარტია შექმნეს მათ, არამედ რუსეთის ს.დ. პარტიის წევრები იყვნენ... რომლებსაც საკუთარი ს.დ. პარტია არ უნდოდათ, სხვას კი ყველას ჰქონდა იგი რუსეთში: სომხებს, ებრაელებს, პოლონელებს და სხვ“.

გულახდილ დასკვნას კვლავ ქართული ხასიათის საბედისწერო შტრიხი გასდევს. კერძოდ, თავის გამოჩენის დაუძლეველი ჟინი სხვის სასარგებლოდ და, რა თქმა უნდა, სხვისსავე ასპარეზზე, რასაც საქართველოსთვის მუდამ სავალალო შედეგი მოჰქონდა! მარქსისტებთან უშეღავათო შეტაკებისას, ქართველი ანარქისტები, სწორედ ეროვნული მსოფლმხედველობის უგულებელყოფას ვერ ურიგდებოდნენ, ამ პლაგიატური მოძღვრებების სიმყიფესა და სიყალბეს მეცნიერულად ასაბუთებდნენ და ააშკარავებდნენ, რომ, სინამდვილეში, ბრძოლა სრულიად სხვა, იმპერიალისტური მოტივით წარმოებდა და მსოფლიოს თვალის ასახვევად, „შემოგდებული ლოზუნგები“ სატყუარას როლს ასრულებდა. შესაბამისად, ანარქისტებელმა ნაროდნიკული აზრები დათმო და ეროვნულ მოღვაწეობას შეუდგა. ანარქიზმზე გადაგებულმა მიხაკო წერეთელმა ექვთიმე თაყაიშვილის რჩევა შეისმინა და სამშობლო ყოველგვარ პარტიასა და მიმდინარეობაზე წინ დააყენა და, მაინც, ამგვარ მაგალითთა მიუხედავად, ქართველ ინტელიგენტთა უმრავლესობა, **„მერყევ ელემენტად გაფორმდა“**, საქმე საქმეზე რომ მიდგება, რჩეულთა კასტას აკაკისეული „ღამურის“ თვისებები არ ეთმობა, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი მსოფლიო პრობლემების მოსაგვარებლად ენთუზიაზმით ირჯება, შესაბამისად, მისი ბაზის დასაშომინებლად უძლეველი მარქსისტები – **გ. პლეხანოვი** და **ვ. ლენინი** დაირაზმნენ. **სტალინმა**, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს, წერილების ციკლი – **„ანარქიზმი და სოციალიზმი“** მიუძღვნა. ნოე ჟორდანიაც მათ შეუერთდა. გააფთრებულ ჭიდილში **ვარლამ ჩერქეზიშვილსა** და **მიხაკო წერეთელს**, აგრეთვე, **გიორგი გოგელიას** (კოსმოპოლიტ ანარქისტს), **ნესტორ კალანდარიშვილი** მიემხრო. ძალზე საინტერესო და მოულოდნელია ამბოხებულთა შორის **მიტროფანე ლაღიძის** გამოჩენა. „უწყინარი“ ანარქისტი თავისი სახელგანთქმული მინერალური წყლების ბიზნესით მოპოვებულ ფულად სახსრებს თანამებრძოლებს ახმარდა. ქართული ანარქიზმის პარადოქსულობა სახეზეა.

„ნაციონალიზმი და ანარქიზმი? გაგონილა სადმე ასეთი შეთავსება„? – გრიგოლ რობაქიძის რიტორიკული რეპლიკა ამ გაუგონარი სინთეზით გამოწვეული განცვიფრების გამოძახილია, შეუთავსებელთა შეთავსების აუხსნელი ხელოვნების არსში წვდომას რომ მიელტვის, ცდილობს, გაოცების ხარისხი ზომიერ, ლოგიკურ განცდას შეუფარდოს, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ყველაფრის უარმყოფელი ქართველი ანარქისტები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად იბრძვიან და მსოფლიო გაქანების ავანტურისტებთან შერკენებისას, იმპერიის დასამარცხებლად, პუბლიცისტურ ომს არ სჯერდებიან, თანაც, როდის? როდესაც ლიტერატურული შეტაკებების აუცილებლობა არაერთგვაროვნადაა შეფასებული.

„არა, ბატონებო, ამგვარი ბრძოლა არავის არ დაასუსტებს. არათუ დაგვასუსტებს, არამედ, უფრო აგვამაღლებს, სულითა და გულით განგვავითარებს. სასტიკი ლიტერატურული ბრძოლა შედეგია ხალხის გონების წარმატებისა და საჭირო ეს ბრძოლა ჩვენშიც მალე დაარსდეს. ვინც ამ ბრძოლის აღორძინებას უშლის, ის მტერია ლოგიკისა“! – ეს საინტერესო მოსაზრება ტრაგიკულად დაღუპულ პუბლიცისტსა და იურისტ **ნიკოლოზ ურბნელს (ნიკოლოზ ხიზანაშვილს)** ეკუთვნის. ილიამ იგი „ივერიაში“ სათანამშრომლოდ მიიწვია. მისივე ჩაგონებით, ურდამოკიდებულება „მეორეხარისხოვანი“ სამშობლოსადმი, რბილად რომ ვთქვათ, არაგულწრფელია, არათანმიმდევრულ-ნიჰილისტური, სნობური მომხვეჭველობით და მიმბაძველობით დანაგვიანებულ-დაჩრდილული! ულევი შეცდომების გამეორება და არასწორი არჩევანისადმი ჯიუტი მიდრეკილება, ამ გაორებული, დაკნინებული სულიერი მდგომარეობის მკაფიო გამოძახილია. ამდენად, პოლიტიკურ დოქტრინათა უთავბოლო დომხალით მოწამლული აზროვნების რეციდივი დღესაც შეუფერხებლად მოქმედებს და საჭირბოროტო საკითხების გადაუჭრელობაც ამ დაუძლეველი ორჭოფობითა და პირმოუკრავი განხეთქილებითაა გამოწვეული. წინააღმდეგობრივი შეჯახებით **„იუდა ჟამს ეძიებდა! მახარაძე, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, მდივანი, ელიავა, ქავთარაძე და სხვანი, ზოგი საქართველოში დაძრწოდა, ზოგი მთავარ იუდასთან, ი. ჯუღაშვილთან იყო მოსკოვში. ყველანი ძირს უთხრიდნენ განთავისუფლებულ სამშობლოს. არ ზოგავდნენ მათაც, ვინც გუშინ მათი „ამხანაგები“ იყვნენ, რადგანაც ამათ სამშობლო იწამეს. ჯერ შიგნიდან სცადეს ქვეყნის „აფეთქება“ და როდესაც შიგნით ვერა გააწყეს რა, იუდები მოსკოვს გაიკრიფენ, იქითგან მოაწყვეს სამშობლოს ღალატის საქმე ჯუღაშვილთან ერთად.“**

მიხაკო წერეთლის მრავლისმეტყველ, მტკივნეულ შეფასებას დღესაც არაერთი მენტალურად საბჭოელი ინტელიგენტი ეჭვით მოეკიდება, რადგან მათთვის მთავარი ყალბი ლოზუნგომანიაა, რომელიც პირადი კეთილდღეობის ღერძზე გადის და მერყევი ინტელიგენტებისგან მაბეზღარობას, მედგარ კონფორმისტობას ან აქა-იქ ამოხეთქილ თვითმარქვია კლანური იმპერიების უდრეკ აქტივისტობას მოითხოვს. ანარქისტები არ ცდებოდნენ, როდესაც ადამიანების სამართავად შექმნილ იდეოლოგიურ ინსტიტუტებს ხელაღებით აკრიტიკებდნენ, მით უმეტეს, ქართველი ანარქისტებისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ბრძოლა, ყველაზე მაღალ ღირებულებად რომ სახელდებულიყო!

გველის

ზელიმხან მაღრაძე

აგვისტოს ცხელი დღე იყო. თუმცა, საღამოობით, შემოდგომის სუნი ტრიალებდა უკვე. სოჭის მიდამოებში, ზაფულის ხანგრძლივი და აუტანელი გვალვების გამო, მდინარეები პატარა ღელეებად იყვნენ ქცეულები.

მეორე დღეს მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული უნდა გათენებულიყო, ამიტომ, სახლში მიმავალი გზა გავიმრუდე და ეკლესიისკენ გავწიე.

ეკლესიას, ზღვის სანაპიროზე, სანატორიუმის ერთ-ერთ კორპუსის პირველი სართული ეკავა. მსურდა გამეგო, წირვა-ლოცვა ღამის თევით იქნებოდა თუ არა. ჩემი და ჩემი მეუღლის მოძღვარმა მამა ფლავიანმა მაცნობა, რომ ღამის თევით წირვა ჩვენს ეკლესიაში არ შედგებოდა, რადგან, ჩვენი ეკლესია, კრემლის სამთავრობო სანატორიუმის ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართუზე მდებარეობდა. დაცვის სამსახურმა არ დართო ნება წირვა ღამის თევით ჩატარებულიყო... მე ცოტა ხნით ჩამოვჯექი, ტაძარში, სულის მოსათქმელად. ავტობუსის გაჩერებამდე ასასვლელად საკმაოდ გრძელი აღმართი უნდა ამევლო და ფეხს ვითრევდი, იქნებ ნიავმა დაუბეროს, ან ცოტათი აგრილებულიყო მაინც. ბოლოს გადავწყვიტე, ზღვის ნაპირზე ჩავსულიყავი და იქ მომეკლა დრო.

მზე ზღვაზე წამოწოლილიყო, მისი ლაპლაპი თვალს ჭრიდა დაღმართზე მიმავალ დამსვენებლებს და მაცდურად ლივლივებდა. ირგვლივ სიშიშვლე მეფობდა. თითქოს ზღვასაც ტანზე გაეხადა, მზის გულზე წამოგორებულიყო და თავისივე სიშიშვლით ტკბებოდა. ბავშვების ჟრიამული და შეძახილები შორს ისმოდა. ფეხთ გავიხადე და მუხლებამდე აწეული შარვლით შევტოპე ზღვაში. საოცარი ნეტარება ვიგრძენი, მერე წელს ზემოთ გავიხადე, მკლავები და კისერიც გავიგრილე და სანაპიროზე ჩრდილის ძებნა დავიწყე, რომ მზეს დავმალვოდი სადმე.

როგორ ჩამეძინა, ვერც გავიგე, თვალი რომ გავახილე, მზე უკვე შორს, დასავლეთის ჰორიზონტზე, ზღვას კალთის ბოლოს უკოცნიდა. დამძიმებული თავი ძლივს წამოვწიე და სანაპირო შევათვალიერე. ჩემ გვერდით ზორბა აღნაგობის, ფართო მხარბეჭიანი მამაკაცი ჩამომჯდარიყო. ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ მას ხუჭუჭა თმები სრულიად გათეთრებოდა და ღრმად მოხუცებული ადამიანის თმას ჰგავდა, წარბები და კოხტად შეკრეჭილი ულვაშები კი – შავი. აღუწერელი ტანჯვა იკითხებოდა მის სახეზე. მარცხენა ძუძუს თავზე, კოხტად ამოსვირინგებულ ოთხ ქართულ ასოს, კამარა შეეკრა და გამოხატავდა ყველა ქართველისათვის საფიცარ და სანუკვარ სიტყვას – `დედა“. შორს, სადღაც, უსასრულო სივრცეს მისცემოდა იგი მთელი არსებით და ტანჯვა სახეზე ისე ღრმად ჩასჯდომოდა, რომ, უნებლიედ, ჩემი ტანჯული საქართველოდან, კერძოდ, აფხაზეთიდან დევნილ ადამიანად მივიჩნიე და ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე ქართულად ვკითხე: `ეგ რა დაგმართნია, რა უბედურება გადაგიტანია, ან რა მოხდა ასეთი, რომ თავსა და ტანს შორის 50 წელიწადია განსხვავება“-მეთქი.

შეცბუნებულმა შემომხედა, არ ელოდა, ასე, სახეში პირდაპირ მიხლილ შეკითხვას, თანაც, ქართულად. ერთი პირობა წამოდგომა და წასვლა დააპირა, მერე გადაიფიქრა, შუბლზე და საფეთქელზე ვენები დაებერა და ისედაც დაღრეჯილი სახე უფრო საშინელი გაუხდა. მისი გულის ძგერა მესმოდა უკვე და ვიგრძენი, ჩემივე კითხვის შეუსაბამობა. გულწრფელად მოვუბოდიშე, რომ სიტყვის თქმაც არ დავაცალე და თან ჩემს უზრდელობაზე მივანიშნე მის სახეზე გამოწვეული ღელვის საზღაურად.

როგორც ეტყობა, მეც წამეშალა სახე. მან ხელი გამომიწოდა და – `არაფერიაო, – მიპასუხა, მთელი 21 წელიწადია, ამ კითხვას გავურბივარ და შენ პირველმა დამისვი ისე, როგორც არავის დაუსვამს! 50 წელიწადია განსხვავება ტანსა და თავს შორის“... მეც ასე ვფიქრობდი, ყოველთვის...

21 წელიწადი!.. მაშ აფხაზეთთან არავითარი კავშირი არ აქვს შენს უბედურებას? – ვკითხე და უფრო მეტი ინტერესი გამიჩნდა მის მიმართ.

ამ კითხვამ უფრო დააფრთხო. წამით მომეჩვენა, რომ მისი უზარმაზარი სხეული დაიძაბა და სახე, რომელიც ისედაც ნაოჭებისაგან დაჰეროდა, ახლა სულ დაიჭმუნა. ეტყობოდა, რომ საკუთარ თავზე საუბარს გაურბოდა. უზარმაზარი ხელის მტევნები სახეზე აიფარა, სახის ნაკვთები თითქოს შეიკრიბ-შეისწორაო და ახლა უკვე ბრაზმორეულმა ქვემოდან გამომხედა ისე, რომ მე შინაგანად მოვემზადე გავცლოდი მისი ხელების რისხვას. ჩემდა გასაკვირად, ქვიშა მუჭით აიღო, მუხლებზე დაიხვავა და თითქოს სევდანარევი და, თანაც, უხეში ხმით მკითხა:

`ვინა ხარ, სადაური ხარ, ან რა გინდა ჩემგან, რატომ მიძვრები სულში, თავს რატომ არ მანებებ~?!

მისმა ხმამ გული მომიკლა, იმ წამს მზად ვიყავი პატიება მეთხოვა. აღარ ვიცოდი, როგორ გამომესყიდა ჩემი უნებლიე დანაშაული. რაღაცა წამოვილუღლუღე, მერე კი მის წინ მუხლმოყრილი აღმოვჩნდი, მის ღონიერ მაჯებს ჩავაფრინდი და, ჩემდა უნებურად, გულიდან რაც ამომხდა, – შემინდე მეთქი, – რამდენჯერმე გავუმეორე. პასუხის ღირსიც არ გამხადა, მე კი ინსტიქტურად მის უთქმელ სიტყვას თავადვე ვპასუხობდი:

– წარმოშობით მესხეთიდან ვარ, ჩემი სოფელი იქაა, სადაც ვარძიაა, ახლა იქ ჩემი ძმები სახლობენ. მე კი თბილისში ვცხოვრობ. აქ დიდი ხანი არაა, რაც ვიმყოფები. ყველაფერი, რაც ქართულია ჩემთვის ძვირფასი და საინტერესოა. აქ იმიტომ მოვედი, იცით? – აი იქ, მაღლა, სანატორიუმის შენობაში, ჩვენი ეკლესიაა, სადაც მე და ჩემი მეუღლე დავდივართ. ხვალ მარიამობაა, მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული. მეგონა, ამაღამ, წირვა ღამის თევით იქნებოდა, მაგრამ... მერე სულმოუთქმელად აქ ჩამოვედი.....შენს ტანზე, ეს სვირინგი რომ ამოვიკითხე, დავრწმუნდი, რომ ჩემ წინ ქართველი კაცი იჯდა, ცდუნებას ვეღარ გავუძელი და გამოგელაპარაკე. თან, ამ შენმა ჭაღარამ, ისე შემაცბუნა...

ჩემს ხელებში მისი ხელები თითქოს გალღვაო, მოდუნდნენ და, მეგონა, რომ გამეშვა, ალბათ ძირს ჩამოცვივდებოდნენ. არაფერი უთქვამს, მეც გავჩერდი. რამდენიმე წუთი ვიდექით ერთმანეთის პირისპირ და ვდუმდით. ქვეცნობიერად ხელიდან ხელში გადადიოდა უხილავი ენერგია და ჩვენს შორის ნდობის ხიდი ელვისებური სისწრაფით შენდებოდა. მერე ნელა აამოძრავა თავისი ტორები, მარჯვენა ფრთხილად გაითავისუფლა ჩემი ხელის `ტყვეობიდან,“ ჩემს ყელთან მოიტანა, საჩვენებელ და ცერა თითს შორის ხის ჯვარი ფრთხილად ამოსწია. მე თავი დავხარე და ინსტიქტურად ჯვარს ვემთხვიე ისე, რომ, ჩემდა

უნებურად, მის თითებსაც შევეხე ბაგეებით...

– ხვალ მარიამობაა და ღამის თევით გინდოდა გაგეტარებინა?!

თავი დავუქნიე, თანხმობის ნიშნად. მან გამიღიმა... თითქოს ცა გაიხსნაო, მისი თეთრი და ლამაზი კბილები ახლაღა შევნიშნე და ამ ღიმილმა ყველა გაუგებრობას ბოლო მოუღო ჩვენ შორის.

– წავიდეთო, – მითხრა. პირველი თვითონ წამოდგა, ხელი წამატანა და ეს ამხელა, 100-კილოგრამიანი კაცი ფოთოლივით წამომაფრინა...

უხმოდ ვანიშნე, ფეხთ ჩავიცვამ-მეთქი. მან კი არად ჩააგდო ჩემი თხოვნა და მანიშნა, აქ გაჩერდიო. აქ დადექიო, მითხრა. მერე დევის ნაბიჯებით მოზომა საკმაოდ დიდი მანძილი, ჩემს ფეხსაცმლებს ორი თითით დასწვდა, მერე მაგრად ჩამჭიდა ხელი და ურჩი ბავშვივით ამითრია, იქვე გზის პირას მდგომ ღია ვილისში შემისროლა და მანქანა მოწყვეტით დასძრა.

ცენტრალურ გზამდე, როგორც კი ავიქროლეთ აღმართი, მივხვდი, რომ საჭესთან პროფესიონალი მძღოლი იჯდა. სოჭს შემოვლითი გზით ავუარეთ გვერდი, ქალაქის მეორე მხარეს, ჩრდილო დასავლეთით, აღმართზე ტყის პირას შეჩერდა და ძრავი გამორთო.. ისეთი წარმოდგენა შემექმნა, თითქოს მცდიდა, შემეშინდებოდა თუ არა.

მზე ნელ-ნელა ჩაესვენა ზღვაში...

ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და თითქოს ამდენი ხანი სული შეგუებული ჰქონდაო, ისე შეისუნთქა კვამლი, მერე, ზედიზედ, რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და, ისე რომ, ჩემსკენ არც კი გამოუხედავს, დაიწყო:

– სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვცადე ბედი, მაგრამ იქ ცხვირს ვინ შეგაყოფინებდა. წინასწარ, გამოცდებამდე ცნობილი იყო ჩარიცხულთა სიები, – ზოგი მოსამზადებელი ფაკულტეტიდან, ზოგი, შენც კარგად იცი, ვისი შვილები და ძმისწულები ირიცხებოდნენ. გარეგნობა ხელს მიწყობდა და, თავმოყვარეობაშელახულმა, სოფლად დაბრუნება ვითაკილე, იქამდე, ვიდრე ჩემ საწადელს არ ავისრულებდი და უნივერსიტეტში არ ჩავირიცხებოდი. დრო რომ უქმად არ დამეხარჯა, სავაჭრო სასწავლებელში შევედი და მზარეულის სპეციალობა ავითვისე. მეორე წელიწადსაც ჩავაფლავე გამოცდები და შემოდგომით ჯარში გამიწვიეს.

ბებიაჩემმა, ვაი და ვიშით, გამაცილა ჯარში. ალბათ, ვეღარასოდეს გნახავო, ჩიოდა და ირგვლივ ქვიშით გატენილი ტომრებისაგან აშენებული საგუშაგოები იყო აგებული და ხშირად პირდაპირ იქ მიხდებოდა საჭმლის მიტანა, მეგობრებთან, რომლებიც საკმაოდ მყავდა, მათ შორის კი ერთი განსაკუთრებული იყო, რომელთანაც, თბილისიდან მოყოლებული, სულ ერთად ვიყავით.

დიდი მარხვა მთელი სერიოზულობით დავიცავი. მზარეულისთვის, რომელმაც, მარილზე მაინც, სულ ცოტა მაინც უნდა გასინჯოს მისივე მომზადებული საჭმელი, ძნელი შესასრულებელია, მაგრამ, სული მთხოვდა ამას! იმ დაწყევლილ მიდამოებში, სადაც ყველაფერი სიკვდილის ენაზე გვესაუბრება, ადამიანს ისღა დარჩენია, ან ღმერთი იწამოს, ან თავისი სული ეშმაკს მიჰყიდოს. მღვდელი ლავრენტის სახე და ჩემი ხმა, მეხსიერებიდან არ ამომდიოდა, ბებიაჩემი ხომ გულს მიკლავდა, მისი წერილები ფრთებს მასხამდა. იმით ვგებულობდი ყველა საეკლესიო თარიღს და, რაც მთავარია, მჯეროდა, რომ მღვდელი, რომელმაც მომნათლა, მამაო ლავრენტი და ბებიაჩემი, იქ, ჩემ სამშობლოში, ჩემი სულის საცხონებლად, ლოცულობდნენ.

ჩემი მარხვაზე გადასვლა, ჩემმა მეგობარმა, ნოდარმა, შენიშნა პირველმა. გამოვუტყდი და მასაც შევთავაზე, ყოველ დილა-საღამოს ერთად წაგვეკითხა ლოცვები და გვემარხულა.

ერთადერთ, უფლის რწმენას შეუძლია შვება მოგგვაროს, როცა სამიზნეს მიღმა ადამიანს ხედავ და სულის სიღრმეში შენი მეორე მე, ავტომატის სასხლეტს გამოდებულ, მოკაუჭებულ თითს გაგაშლევინებს და აძლევს შანსს, შენთვის უცნობ ადამიანს, იცოცხლოს, ხოლო მეორე მე, ეს უკვე რეალური მე, ჩაგჩიჩინებს, ვინც შენ დაინდე, დღეს თუ არა ხვალ, შენვე ჩაგაძაღლებს და ყველაზე მაქსიმუმ, რაც შეიძლება მოხდეს, ეს ცინკის კუბოა, რომლითაც წაგასვენებენ და, არავინ იცის, შენს ცხედარს დაიტირებს დედა თუ სხვისას, თავისდაუნებლიედ! ცხოველისეული ჟინით შეპყრობილი აჭერ თითს სასხლეტს და... შენი ხელიდან ულმობლად მიფრინავენ სიკვდილის მოციქულად ქცეული, ცხელი ტყვიები... და, თავს იმით იმართლებ, რომ ეს ომი შენი მოგონილი არ არის რომ ამ ომში, შენც მხოლოდ მასრა ხარ, რომლისგანაც ტყვია გაიტყორცნება. ტყვიამ იდარდოს, რომ მას უწევს სასიკვდილო ბარათის მიტანა ადამის მოდგმამდე ეს მისი ხვედრია, მძიმე, მაგრამ, მისი.

რამდენჯერმე მოგვიხდა ჩვენი ბანაკის დაცვა შემოტევისაგან. საოცარი იცით, რა იყო? ის, რომ კარავი, სადაც ჩვენ ვაღამ-ვათენებდით, საკუთარი სახლის ასოციაციას იწვევდა და ისეთი გააფთრებით ვიცავდით, თითქოს, მის იქით, დედამიწა თავდებოდა და აღარაფერი არსებობდა.

ყველაფერი ისე იყო აწყობილი, რომ ფიქრის დრო არავის აღარ რჩებოდა. ჩვენ კი, კარვის მიღმა, წერილის წერის იმიტაციით, ჩუმ-ჩუმად ვლუღლუღებდით, დილა-საღამოს ლოცვებს. ვერ წარმოიდგენ, რა შვებას გრძნობ ლოცვის შემდეგ. თავს, ლამის, ღმერთად წარმოიდგენ და სხვის ბედ-იღბალს წყვეტ. ძილის წინ, უიარაღოდ, საცოდავი არსება ხარ, სრულიად დაუცველი და უსუსური. უფალთან ბუტბუტით, ბოლოს და ბოლოს, აღიარებ შენ თავს არარაობად, მითუმეტეს, როცა შენს გვერდით, თითქმის ყოველდღე, იხოცებიან ადამიანები და ის შიში, რომ ხვალ შეიძლება იგივე ხვედრი გეწიოს, ყოველ ნაბიჯზე, ჩრდილივით თან გდევს, გრძნობ, რომ შენში სიკვდილია გამეფებული, შენ მისი მძევალი ხარ. მხოლოდ, რაღაცა ველური, არაადამიანური წესების დაცვით გაიძულებენ ბიოლოგიური არსებობა განაგრძო, სხვა დანარჩენი, შენში მკვდარია, მკვდარია მაშინ, როცა სამიზნედან ქრება ადამიანი, ის დაეცა და აღარ ადგება, მაგრამ შენ, გინდა თუ არ გინდა, თვალს ხუჭავ ამ ფაქტზე,

წიწილები

შენ არ გტკივა მისი ტკივილი, იმიტომ. რომ, შენში, ტკივილის გრძნობაც მკვდარია იქამდე, სანამ თავად არ გეტკინება. გარშემო გამეფებულია უნდობლობა, ისეა დაძაბული ნერვები, ირგვლივ მყოფი ადამიანებისა, რომ უბრალო, ადამიანური გრძნობების გამოვლინებამ, შესაძლოა, მეორე ადამიანში გამოიწვიოს ისეთი აფეთქება, რომ ძვირად დაგიჯდეს. ამიტომ, ამას, ყველა გარშემომყოფნი გრძნობენ და, ერთად-ერთი, რაც ფარად აქვთ აფარებული, ბილწსიტყვაობა, გინება და ბინძური ანეკდოტებია, რომელზეც, უკვე სიცილით, აღარავინ პასუხობს. გაერიყო მათ, ეს იმის ტოლფასია, სხვის ბანაკში გადახვიდე. სახლიდან მიღებული წერილები ყოველთვის ცალკე, განმარტებით იკითხებოდა, იმიტომ, რომ ამ დროს, ამ ბარათით, წუთიერად სიყვარული ამხედრდებოდა ხოლმე, თითოეულ ჩვენთაგანზე, რომელიც სენტიმენტალობის გამოვლინებით შეიძლება დამთავრდეს, ეს კი დაუშვებელია, ლაჩრობად ჩაგითვლიან, გაგრიყავენ. მოდაში იყო შემოსული საკუთარი ვენიდან გამოშვებული სისხლის სმა. ახლაც ჟრუანტელს მგვრის ამის გახსენება... ამით ყველაფერს ბოლო ეღება, შენში ვაჟკაცური აღარაფერი რჩება.

ერთ დღეს, ოპერაციიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, თან მოიყვანეს ტყვეები, სრულიად ახალგაზრდა ბავშვები, 12-14 წლის ბიჭები. ცემისაგან დასიებული თვალებით და გასისხლიანებული ტუჩებით. ვერ აღგიწერ მათ შეშინებულ თვალებს, აქეთ-იქით რომ აცეცებდნენ და თითოეულ ჩვენთაგანში ლმობიერებას და დაცვას ეძებდნენ. ყოველი მათი მუდარა, რომ მწყემსები იყვნენ და დაკარგულ საქონელს ეძებდნენ, მთავრდებოდა წიხლების ულმობელი რტყმით. რაც შევძელი, ის იყო, რომ გავეცალე იქაურობას.

საღამოს მიბრძანეს, საჭმელი მიმეტანა საპყრობილეში, რომელიც მიწურში იყო, შტაბის გვერდით. პირში ვერაფერი ჩაიდეს, ვიდექი და ვუცდიდი, როდის შეჭამდნენ რაღაცას, მათი თვალები ხარბად დასცქეროდნენ, პურზე წასმულ პაშტეტს. მე მუნჯურად ვაქეზებდი, ეჭამათ რამე. საკუთარი ხელით მივუტანე პირთან საჭმელი, ტუჩებით ძლივს მოციცქნეს პაშტეტი, პურს კი ვერა დააკლეს რა. მაშინღა მივხვდი, რომ არცერთი კბილი არ ჰქონდათ შერჩენილი საცოდავებს... თოფნაკრავივით გამოვვარდი იქიდან და გამწარებული დიდხანს დავწრიალებდი წინ და უკან, კარავში...

მე და ნოდარმა მთელი საღამო დავუთმეთ ამ ამბავს, როცა მეორე დღეს, უსუსური ბავშვები, ჩვენგან რამდენიმე ასეულ მეტრში, უმოწყალოდ დახვრიტეს...

ჰოდა, ამის მხილველი საკუთარ თავს თანამონაწილედ ვთვლიდი. საღამოს, ლოცვის დროს, თითქოს თვით უფალი ჩამოვიდოდა ხოლმე და ხელში აყვანილი დავყავდი, როგორც დედა დაასეირნობს ხოლმე, ძილის წინ, საკუთარ შვილს. მეც მივენდობოდი უფალს, მკერდზე მიხუტებული ლოცვის წიგნით და ჩემში იღვიძებდა ჩემი ბავშვობა, რომელიც ზედმიწევნით მახსოვს, რომელსაც დღესაც შევნატრი და მივტირი...

შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი სასოებით ველოდი განთიადს და დაღამებას, რომ მელოცა, რომ უფლისთვის მიმენდო ჩემი თავი და მის მკერდზე დამძინებოდა, ან გამღვიძებოდა...

მარხვა ჩემთვის მძიმე და აუტანელი არ ყოფილა, პირიქით, ყოველ დღე, რაღაცით, დიდი მანძილით, ვშორდებოდი რეალობას და სულ უფრო და უფრო ახლოს მივიწევდი უფალთან. ბებიაჩემი ულმობელი იყო ჩემს მიმართ. მწერდა, რომ მარხვის პირველი და ბოლო კვირა, პურზე და წყალზე უნდა გადამეღო მხოლოდ... ნოდარმაც მიიღო ბებიაჩემის ნაკარნახევი და პეტრე-პავლობის მარხვა ამით დაიწყო...

ერთხელ, დილით, მათარებით დატვირთული, საგუშაგოსკენ გავემართე, თან ავტომატი მქონდა ზურგზე გადაკიდებული. საგუშაგო გზას თავზე გადაჰყურებდა და ხეობაში გამავალი გზაც ხელისგულივით ჩანდა. ნოდარმა თავისი ულუფა – შედედებული რძე, უკან დამიბრუნა, თან ბუზღუნით გამომაცილა, ჩვენ ხომ ერთად გადავწყვიტეთ ვიმარხულოთ, რძე რაღაზე მომიტანეო. შაქარი და პურის ნაჭერი დაიტოვა, თან სასტიკად გამაფრთხილა, მეორედ აღარ მეცდუნებინა იგი.

ის იყო საგუშაგოს გამოვცდი და ბილიკიდან პატარა კლდეს მოვეფარე, რომ ჯერ კლდეზე ასხლეტილი ტყვიების ზუზუნი მომესმა, შემდეგ ტყვიამფრქვევის გამალებული კაკანი. ჩემდაუნებურად, მიწაზე გავიშხლართე და გავირინდე. ვიცოდი, პატარა მოძრაობაც კი, სნაიპერს არ გამოეპარებოდა და, მაშინ, აღარაფერი მეშველებოდა...

– `ცოცხალი ხარ, ბიჭო“? – მომესმა ნოდარის ხმა, რომელიც ხეობაში მიმალულიყო. თავი წამოვწიე, რომ მეპასუხა და... საოცარი სანახაობის მოწმე გავხდი: ჩემგან, ნახევარი მეტრის მოშორებით, ჩემს ხელებთან ახლოს, ნოდარის მიერ `დაწუნებული“ რძე დაღვრილიყო და ორი საკმაოდ მოზრდილი შხამიანი გველი, თითქოს აქ არაფერიო, მარჯვედ მიირთმევდა. მათი `სიფათები“ ისეთ ნეტარებას გამოხატავდნენ, რომ ვერ აგიწერ. ისინი ასე ახლოდან არასოდეს მენახა. არ მომჩვენებია, მართლაც ნეტარებით მიირთმევდნენ დამტკბარ შედედებულ რძეს, მხოლოდ, დრო და დრო, ორკეპა ენის მოძრაობით, თითქოს შეთანხმებული სისინით, მახსენებდნენ, რომ ისინიც ისეთივე დაუნდობელი და შხამიანი არსებები იყვნენ, როგორც ადამის მოდგმა...

უჩვეულო გრძნობა დამეუფლა. სიცხე, ტყვიების ზუზუნი, სიკვდილის მოლოდინი... ყველაფერი ერთად აღებული, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ამ ორი არსების თვალთვალი, რომელთა კბილის პატარა გაკვრაც კი, ტყვიაზე უფრო საშიშია. ისინი ერთმანეთისადმი შესაშური ნდობით გამსჭვალულნი, არაფრად აგდებდნენ არც ტყვიამფრქვევის კაკანს, რომელიც ჩვენ თავზე, საგუშაგოდან საპასუხოდ გაისმოდა და, არც იმას, რომ მე, სულ ნახევარ მეტრში ვიწექი...

წამით სროლა შეწყდა, ხეობაში ტყვიამფრქვევის ექო ჯერ კიდევ ისმოდა. მერე, კვლავ ნოდარის ძახილი – `ცოცხალი ხარ, გიორგი“?! `გიორგი... გიორგი... გიორგი“!.. – მთას ედებოდა ექოს გამოძახილი.

– ცოცხალი ვარ, ნოდარ, ცოცხალი. მე არაფერი მიჭირს! – გამოვეპასუხე და კვლავ იმ ორი არსებისკენ გამექცა თვალი.

გულის პირიდან ამოვარდნილი, ძაფზე გამობმული ხის ჯვარი, ზედ ცხვირწინ იდო მიწაზე. სასოებით ვემთხვიე და მუხლებზე წამოვჯექი. შენც არ მომიკვდე, გველები ისევ მშვიდად განაგრძობდნენ რძის სვლეპას... ზურგს უკან ნოდარი წამომადგა თავს. შეხედე-მეთქი, – ვანიშნე. – ლამის ცხვირი ცხვირზე გვქონდა მიდებული, ცოტა ხნის წინ, ისინი კი...

ნოდარის გამოჩენაზე გველები გასრიალდნენ და ლოდებს შუა, ნაპრალებში გაუჩინარდნენ...

მეორე დღეს ალუმინის ჯამი ნაპრალთან, გამოსასვლელშივე ჩავამაგრე და პურის ნამტვრევებს ზემოდან უკვე ჩემი და ნოდარის წილი რძეც დავასხი პირამდე. საღამოს ჯამი ცარიელი დამხვდა.

ერთი კვირის შემდეგ ორივე გველი ჯამთან მელოდა. დიდხანს ვიჭოჭმანე, დავხრილიყავი და ხელები მიმეტანა ახლოს, სადაც ორივეს თავები წამოეწია და მშიერი გოჭებივით საჭმელს მთხოვდნენ თუ... ალბათ, უნდა მოვრიდებოდი, მაინც შხამიანები იყვნენ. ამ ერთ კვირაში, თითქოს, შესამჩნევად, გაზრდილიყვნენ ჩემი და ნოდარის რძის ულუფის წყალობით.

არ ვიცი, რა ხდებოდა ჩემში, ვგრძნობდი, რომ უნებლიედ, რაღაც თამაშის მონაწილე გავხდი. ჩემი გონება ახლა უკვე დაკავებული იყო ორი საფიქრალით – ლოცვით და გველების კვებით. ამ მეორემ ისე გამიტაცა, რომ მათთვის ცალკე ულუფის მომზადება დავიწყე. სულ უფრო და უფრო მეტ ტკბილეულს მთხოვდნენ. ვგრძნობდი, რომ ხვალ სხვა რაღაცა უნდა მომემზადებინა მათთვის.

ერთ დღეს ჩემი მეგობარი ნოდარი დაჭრეს და ჰოსპიტალში იშუშებდა იარებს. გველები სადღაც გაქრნენ. საჭმელი, რომელსაც ვდებდი რეგულარულად, აღარ მხვდებოდა ადგილზე, ოღონდ თვითონ გველებს ვეღარ ვხედავდი. შინაგანმა ღელვამ ამიტანა, მაგრამ საკუთარ თავს არ ვუტყდებოდი ამაში. ნოდარის გარეშე ძალიან მიჭირდა და, ახლა, შვილებივით დაზრდილი გველების ბოიკოტი, ცოტა არ იყოს, მთრგუნავდა. ამიტომ, ყოველ სამ საათში ერთხელ, გადავშლიდი ლოცვანს და ჩემი მანუგეშებელი მხოლოდ უფალი იყო.

მეორე დღეს `მარიამობა~ უნდა გათენებულიყო. საღამოს, ვახშმის შემდეგ, რძე, ჩვეულებისამებრ, გავამზადე და ჩემი `მეგობრების“ სადგომისკენ გავეშურე. ის იყო რძე ჯამში ჩავასხი და წელში გავიმართე, რომ მეტრის მოშორებით, ჩემს ხელებთან ახლოს, ნოდარის მიერ `დაწუნებული“ რძე დაღვრილიყო და ორი საკმაოდ მოზრდილი შხამიანი გველი, თითქოს აქ არაფერიო, მარჯვედ მიირთმევდა. მათი `სიფათები“ ისეთ ნეტარებას გამოხატავდნენ, რომ ვერ აგიწერ. ისინი ასე ახლოდან არასოდეს მენახა. არ მომჩვენებია, მართლაც ნეტარებით მიირთმევდნენ დამტკბარ შედედებულ რძეს, მხოლოდ, დრო და დრო, ორკეპა ენის მოძრაობით, თითქოს შეთანხმებული სისინით, მახსენებდნენ, რომ ისინიც ისეთივე დაუნდობელი და შხამიანი არსებები იყვნენ, როგორც ადამის მოდგმა...

უჩვეულო გრძნობა დამეუფლა. სიცხე, ტყვიების ზუზუნი, სიკვდილის მოლოდინი... ყველაფერი ერთად აღებული, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ამ ორი არსების თვალთვალი, რომელთა კბილის პატარა გაკვრაც კი, ტყვიაზე უფრო საშიშია. ისინი ერთმანეთისადმი შესაშური ნდობით გამსჭვალულნი, არაფრად აგდებდნენ არც ტყვიამფრქვევის კაკანს, რომელიც ჩვენ თავზე, საგუშაგოდან საპასუხოდ გაისმოდა და, არც იმას, რომ მე, სულ ნახევარ მეტრში ვიწექი...

წამით სროლა შეწყდა, ხეობაში ტყვიამფრქვევის ექო ჯერ კიდევ ისმოდა. მერე, კვლავ ნოდარის ძახილი – `ცოცხალი ხარ, გიორგი“?! `გიორგი... გიორგი... გიორგი“!.. – მთას ედებოდა ექოს გამოძახილი.

– ცოცხალი ვარ, ნოდარ, ცოცხალი. მე არაფერი მიჭირს! – გამოვეპასუხე და კვლავ იმ ორი არსებისკენ გამექცა თვალი.

გულის პირიდან ამოვარდნილი, ძაფზე გამობმული ხის ჯვარი, ზედ ცხვირწინ იდო მიწაზე. სასოებით ვემთხვიე და მუხლებზე წამოვჯექი. შენც არ მომიკვდე, გველები ისევ მშვიდად განაგრძობდნენ რძის სვლეპას... ზურგს უკან ნოდარი წამომადგა თავს. შეხედე-მეთქი, – ვანიშნე. – ლამის ცხვირი ცხვირზე გვქონდა მიდებული, ცოტა ხნის წინ, ისინი კი...

ნოდარის გამოჩენაზე გველები გასრიალდნენ და ლოდებს შუა, ნაპრალებში გაუჩინარდნენ...

მეორე დღეს ალუმინის ჯამი ნაპრალთან, გამოსასვლელშივე ჩავამაგრე და პურის ნამტვრევებს ზემოდან უკვე ჩემი და ნოდარის წილი რძეც დავასხი პირამდე. საღამოს ჯამი ცარიელი დამხვდა.

ერთი კვირის შემდეგ ორივე გველი ჯამთან მელოდა. დიდხანს ვიჭოჭმანე, დავხრილიყავი და ხელები მიმეტანა ახლოს, სადაც ორივეს თავები წამოეწია და მშიერი გოჭებივით საჭმელს მთხოვდნენ თუ... ალბათ, უნდა მოვრიდებოდი, მაინც შხამიანები იყვნენ. ამ ერთ კვირაში, თითქოს, შესამჩნევად, გაზრდილიყვნენ ჩემი და ნოდარის რძის ულუფის წყალობით.

არ ვიცი, რა ხდებოდა ჩემში, ვგრძნობდი, რომ უნებლიედ, რაღაც თამაშის მონაწილე გავხდი. ჩემი გონება ახლა უკვე დაკავებული იყო ორი საფიქრალით – ლოცვით და გველების კვებით. ამ მეორემ ისე გამიტაცა, რომ მათთვის ცალკე ულუფის მომზადება დავიწყე. სულ უფრო და უფრო მეტ ტკბილეულს მთხოვდნენ. ვგრძნობდი, რომ ხვალ სხვა რაღაცა უნდა მომემზადებინა მათთვის.

ერთ დღეს ჩემი მეგობარი ნოდარი დაჭრეს და ჰოსპიტალში იშუშებდა იარებს. გველები სადღაც გაქრნენ. საჭმელი, რომელსაც ვდებდი რეგულარულად, აღარ მხვდებოდა ადგილზე, ოღონდ თვითონ გველებს ვეღარ ვხედავდი. შინაგანმა ღელვამ ამიტანა, მაგრამ საკუთარ თავს არ ვუტყდებოდი ამაში. ნოდარის გარეშე ძალიან მიჭირდა და, ახლა, შვილებივით დაზრდილი გველების ბოიკოტი, ცოტა არ იყოს, მთრგუნავდა. ამიტომ, ყოველ სამ საათში ერთხელ, გადავშლიდი ლოცვანს და ჩემი მანუგეშებელი მხოლოდ უფალი იყო.

მეორე დღეს `მარიამობა~ უნდა გათენებულიყო. საღამოს, ვახშმის შემდეგ, რძე, ჩვეულებისამებრ, გავამზადე და ჩემი `მეგობრების“ სადგომისკენ გავეშურე. ის იყო რძე ჯამში ჩავასხი და წელში გავიმართე, რომ

...

ოთხი დღის შემდეგ ტაშკენტში მოვედი გონს, ხოლო, ორი კვირის შემდეგ, მშობლები და ბებიაჩემი ჩამოვიდნენ. ვერ დააკავეს ვერაფრით მოხუცი, ააწიოკა თურმე ყველა, ვისაც რამე მოეკითხებოდა და მაინც ჩამოვიდა. დიდხანს მქონდა გულში ჩაკრული მისი გამხმარი სხეული. ასეთი სიახლოვე, შერწყმა, სულისა და ხორცისა, მე აღარასოდეს მიგრძვნია, ბებო საწოლზე, ლამის კალთაში მჯდომარე, ბუტბუტებდა, ძირითადად, `ჩემო ვაჟკაცოო“... მესმოდა ეს სიტყვა. მერე სულ გაინაბა და ერთბაშად მოეშვა.

პირველად დედა მიხვდა, რომ ბებიაჩემი აღარ სუნთქავდა და შეჰკივლა. მთელი ჰოსპიტალი ფეხზე დადგა. ხელიდან ძლივს გამომგლიჯეს მიცვალებული. კვლავ თმების დაბოლოებას ვგრძნობდი, მართლა მტკიოდა ისინი.

მარტო რომ დავრჩი, სანიტარი გოგო შემოვიდა სარკით ხელში და ჩემ წინ აღმართა. ჩემი თავი ვეღარ ვიცანი, სახე და თმა, აი ასეთი მქონდა, როგორსაც მხედავ.

ცინკის კუბო მაინც ჩამოასვენა მამაჩემმა; ოღონდ ბებიაჩემი ჩამენაცვლა ამჯერად; მე კი, აგერ ვცხოვრობ მას შემდეგ, მისი ჭაღარით და დაღარულ-დანაოჭებული სახით.

დიდი ჩხუბით, მამაჩემმა მოახერხა ჩემი წამოყვანა. ბებო მინას მივაბარეთ და თბილისის ჰოსპიტალში დამაწვინეს სამკურნალოდ. ორი თვის შემდეგ ჩემი სამხედრო სამსახურის ვადაც ამოიწურა, მაგრამ მაინც გამაკომისიავეს, ჩამომწერეს – სამხედრო სამსახურისთვის უვარგისი დამარქვეს. ასე დავრჩი ცხოვრებასთან პირისპირ – ჩემი ჭაღარით და დაღარული სახით.

მადლობა, რომ შეგხვდი. შენ რომ არა, არ გამახსენდებოდა, რომ ხვალ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულია...

ასე უხმოდ ვისხედით კარგა ხანს, ასევე უხმოდ გავიარეთ ქალაქის ჩრდილო სანაპირო და ჩემ სახლთან დავშორდით.

დიდხანს ვეხვეოდი მის ბრგე, რკინასავით მაგარ მხარ-ბეჭს და კვლავ მისი ლამაზი კბილები იკვეთებოდა სიბნელიდან. ის მიღიმოდა.



ს. ტინისხიდი (ქართლი) ბერელაშვილის დარბაზი, ლ. სუმბაძის მიხედვით

ქართული დარბაზული - ერდოგვირგვინიანი სახლი

ელდარ ნადირაძე

ქართული დარბაზულ-ერდოგვირგვინიანი სახლის შესახებ ახალი მეცნიერული ჰიპოთეზების წამოყენება ნამდვილად სცილდება წინამდებარე სტატიის ფარგლებს, რადგან ამ პრობლემას მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა არა ერთმა და ორმა ცნობილმა მეცნიერმა, როგორც ქართველების, ასევე უცხოელთა მხრიდან და დღესდღეობით არის ერთგვარი დონე, რომელიც ნათლად წარმოადგენს ამ კვლევის შედეგებს. ამჯერად, თუ მაინც ვეხებით აღნიშნულ საკითხს, მხოლოდ იმიტომ, რომ ფართო ენციკლოპედიურ ფორმატში ჩამოვაყალიბოთ ზოგადი სურათი ქართული საცხოვრისის ამ უნიკუმის შესახებ და კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი მნიშვნელობას, რომელიც დარბაზული ტიპის სახლს უჭირავს უძველეს ხალხურ საცხოვრისთა შორის.

ზოგადსამეცნიერო ლიტერატურაში ერდოგვირგვინიანი სახლის პრიმიტიული ანალოგები მცირეაზიული კულტურული სამყაროს დამახასიათებლადაა მიჩნეული. პრიმიტიული იმ გაგებით, რომ მათ არ გააჩნდათ იმ დონის გვირგვინისებური გადახურვა, რომელიც საცხოვრისში სინათლის წყაროს როლს შეასრულებდა. ყველა მეცნიერი (ჰამიდ ყოშაი, საბრი ორანი, დე პლანჰოლი, დე სან პიერო, ლემან ტომსუ და სხვ.) ვინც კი შეეხო წინა აზიისა და, განსაკუთრებით, ცენტრალური ანატოლიის მცხოვრებთა ბანური ტიპის საცხოვრებელ ნაგებობებს, ერთიანია იმაში, რომ ეს სახლები წარმოადგენენ ალიზით აშენებულ პრიმიტიულ ნაგებობებს. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ირანში, ქურთისტანში, ავღანეთში, თურქმენეთსა და თურქეთში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვეყნების საცხოვრებელი ნაგებობების ძირითადი მახასიათებელი ბანური გადახურვაა, ისინი ვერ მაღლდებიან კულტურული საცხოვრისის იმ დონეზე, რომელშიც გამოკვეთილად იქნებოდა წარმოდგენილი ადამიანისთვის საჭირო პირობების ხარისხი. ეს განსაკუთრებით ეხება დარბაზში ბანური გადახურვის ფორმას, რომელიც საცხოვრისში სინათლის წყაროს წარმოადგენს და თვით სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით მაღალი არქიტექტურული მიღწევაა.

ამ მხრივ გამონაკლისია სამხრეთკავკასიური ერდოგვირგვინიანი სახლი, რომელსაც საქართველოში ეწოდება: **„დარბაზი“**, **„ერდოგვირგვინიანი სახლი“**, **„ერთობის სახლი“**. სომხეთში – **„ტუნი“** და **„ჰაზარაშენ ტუნი“**, რომელთა გამაერთიანებელი სახელი **„გლახატუნია“**, ხოლო აზერბაიჯანში – **„ყარადამი“**. სხვათაშორის, **„დარბაზი“** – **„თარბასუ“** – ასურულ-ბაბილონურიდან მომდინარე სიტყვაა *(გ.წერეთელი, არმაზის ბილინგვა, 1942, 3-4)* ეს ტერმინი ძირითადად გავრცელებული იყო შიდა ქართლში. რაც შეეხება ზემო ქართლს, იქაური მოსახლეობა ასეთი ტიპის საცხოვრისს უფრო **„ერდოიანი“**, ან **„ერთობის სახლის“** სახელწოდებით მოიხსენებდა *(თ.ჩიქოვანი, „ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან“, 1967,46-47, 101, 128).*

დარბაზულ - ერდოგვირგვინიანი სახლის მეცნიერული შესწავლის ადრეულ ეტაპზე წინ წამოიწია მისმა ხუროთმოძღვრულმა და არქიტექტურულმა მხარემ, რადგან მას ერთ-ერთი პირველნი ხელოვნებათმცოდნეები შეეხნენ, ოდნავ მოგვიანებით კი ამ ტიპის საცხოვრისი გამოიკვლიეს ეთნოგრაფებმა და მისი არქიტექტურული ღირსშესანიშნაობის გვერდით, წინ წამოსნიეს სახლის სოციალური ბუნება და მისი სამეურნეო მხარე, როგორც ადამიანის საჭიროებისა და მოთხოვნილების აუცილებელი პირობა.

აკადემიკოსმა **გიორგი ჩუბინაშვილმა**, 1922 წელს, დააყენა საკითხი დარბაზულ - ერდოგვირგვინიანი სახლის მნიშვნელობის შესახებ ქართულ კულტურაში, მანვე გამოთქვა უაღრესად მნიშვნელოვანი მოსაზრება ამ ტიპის საცხოვრისის ქართულ მონუმენტურ ხუროთმოძღვრებასთან ტრადიციული კავშირის არსებობის შესახებ (ჩუბინაშვილი, 1927), რაც შემდგომში, კიდევ უფრო გააღრმავა არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად გამომზეურებულმა მასალამ.

მიუხედავად იმისა, რომ ერდოგვირგვინიანი სახლი არაერთხელ მოექცა XIX საუკუნის არაერთი მეცნიერისა და მოგზაურის ყურადღების ცენტრში, შესაძლებელია ითქვას, რომ აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია იყო პირველი, რომელმაც პროფესიონალურ დონეზე გაიაზრა საცხოვრისის ამ ტიპის დანიშნულება და მის შესწავლას მიუდგა მეთოდოლოგიით, რომლის ამოსავალ წერტილადაც მიიჩნია საცხოვრისის სკრუპულოზური აღწერა, რაც, მისი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სახლის გენეტიკური და სოციალური ბუნების გამოსარკვევად. სხვათაშორის, ამ საკითხთან დაკავშირებული მანამადე არსებულ უმეტეს ნაშრომთა უმთავრესი ნაკლი სწორედ მასალის სიმწირე, ანუ ეთნოგრაფიული აღწერილობის არასრულფასოვნება იყო, რაც ვერასდიდებით ვერ განაპირობებდა სწორი მეცნიერული დასკვნების გამოტანას.

გიორგი ჩიტაიამ, ყველა ამ ნაკლის გათვალისწინებით, ფართოდ წარმოადგინა ქვაბლიანელი(ბორჯომის ხეობა) გლეხის სახლის აღწერილობა, მისი შინაგანი და გარეგანი სტრუქტურა, სოციალური და სამეურნეო დანიშნულების ხასიათი, შეუდარა ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრებელ ნაგებობათა მსგავს ნიმუშებს და გამოთქვა მოსაზრება ასეთი ტიპის საცხოვრისის გვაროვნული ოჯახის არსებობასთან დაკავშირების შესახებ, ყველა იმ რელიგიური თუ სამეურნეო ასპექტების გათვალისწინებით, რითაც ცხოვრობდა საოჯახო სიციუმის ეს უჯრედი. მკვლევარმა დიდი ყურადღება მიაქცია ნაგებობის საემანსიპიკაციო პროცესს, მის სამომხმარებლო კულტურულ ასპექტს და ესთეტიკურ ღირებულებას, რაც საცხოვრისს აქცევს ადამიანური ყოფის მიკროკოსმოსად *(გ.ჩიტაია, „გლეხის სახლი ქვაბლიანში“, შრომები ტ. I, 1997).*

ლონგინოზ სუმბაძე იყო ის მკვლევარი, რომელმაც სრულიად გაითვალისწინა **გიორგი ჩუბინაშვილისა** და **გიორგი ჩიტაიას** კვლევის მეთოდოლოგია და ერდოგვირგვინიანი სახლის შესწავლისას ფართოდ გამოიყენა როგორც არქიტექტურული, ისე ეთნოგრაფიული მასალა. თავად ფაქტი, რომ მან საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში აღწერა და შეისწავლა ასამდე დარბაზი, მრავლისმეტყველია და მიუთითებს მისი ნაშრომის დიდ ღირსებაზე. ამასთანავე, უხვი მასალის ანალიზმა მკვლევარს საშუალება მისცა, გამოეთქვა აზრი დარბაზული სახლის ძირძველობის შესახებ ქართულ ეთნოკულტურაში. სუმბაძის აზრით, ასეთი ტიპის ნაგებობა ჩამოყალიბდა როგორც ქართული ხუროთმოძღვრების სპეციფიკური ფორმა და, რომ საქართველომ შემოინახა ამ ტიპის საცხოვრისის ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნიმუშები. საგულისხმოა, რომ მკვლევარმა ამ კვლევის შედეგად გააღრმავა და განამტკიცა გიორგი ჩუბინაშვილის მოსაზრება ამ ტიპის საცხოვრისის არქიტექტურული ფორმების გამოყენების შესახებ საქართველოს მონუმენტურ ხუროთმოძვრებაში (Л.Сумбадзе, 1960).

სამხრეთკავკასიური ერდოგვირგვინიანი სახლის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს **ალ. ხახანაშვილმა, ა. ნეგრიმ, ი.პანტიუხოვმა, ლ.მელიქსეთ-ბეგმა, ს.ლისიციანმა, გ.ლეჟავამ, მ.ჯანდიერმა, რ. აგაბაბიანმა** და სხვ. ამ უკანასკნელის აზრით, კავკასია და, კერძოდ, საქართველო, ერდოგვირგვინიანი სახლის ფორმისა და დაგეგმვარების მხრივ, წარმოადგენს უბადლო ქვეყანა-მუზეუმს, რომლის აღმოცენების ფესვები წინაკლასობრივ ეპოქაში იღებენ სათავეს (Р. Агабабян, Архитектура грузинского народного жилиша, 1945, 49).

ერდოგვირგვინიანი სახლის მონოგრაფიულად შესწავლაში განსაკუთრებულია პროფესორ **თეიმურაზ ჩიქოვანის** დამსახურება, რომელმაც სკრუპულოზურად გამოიკვლია სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული ამ ტიპის სახლის ნიმუშები და პრობლემა წარმოადგინა მონოგრაფიულ ფორმატში, დაწყებული სამშენებლო ტექნიკით, დამთავრებული, მისი სამეურნეო, სოციალური და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენათა კომპლექსების განხილვით *(თ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური საცხოვრებელი“, 1960, „ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან“, 1967)*. საგულისხმოა, რომ **თეიმურაზ ჩიქოვანი** წლების განმავლობაში აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალას ერდოგვირგვინიანი სახლის გავრცელების ისეთ დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთი და აზერბაიჯანი, არაფერს ვამბობთ საქართველოზე, სადაც მან რამდენიმე ათეული დარბაზი აღწერა და შეისწავლა. ამიტომ, მასალათა სიუხვის თვალსაზრისით, თეიმურაზ ჩიქოვანის ნაშრომი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია, რასაც, თავის მხრივ, საკითხის სწორი მეცნიერული ანალიზისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ ბანალური აზრის კონსტატაციას ვახდენთ იმის გამო, რომ კავკასიის მატერიალური კულტურის კვლევის ისტორიაში, უამრავი შემთხვევაა ეთნოგრაფიული მასალის გაუთვალისწინებლობისა და უგულვებელყოფისა. აქედან გამომდინარე, კურიოზული „მეცნიერული დასკვნებისა,“ რომლის შესახებ არაერთხელ მიუთითებდა გიორგი ჩიტაია და არა მარტო ის, ამ შემთხვევაში სამაგალითოდ გამოდგება რუსი ეთნოგრაფის, კავკასიის მატერიალური კულტურის მკვლევარის **ვასილი კობიჩევის** დამოკიდებულება ერდოგვირგვინიანი სახლის კვლევასთან დაკავშირებით, როდესაც მან საქართველოში გავრცელებული ამ ტიპის სახლები წარმოადგინა მარტივ – ერთელემენტიანად, ანუ მარტო დარბაზის მოცულობით, ხოლო სომხეთში გავრცელებულნი – კომპლექურად (В.Кобичев, Жилиша народов Восточного Закавказья, 1957) ისე, რომ არ გაუთვალისწინებია ქართული მასალა. ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ იცის კაბინეტური მუშაობის უამრავი წარმატებული მაგალითი, რომელიც, როგორც წესი, ეყრდნობა პირველხარისხოვან სანდო კორესპონდენციებს. კობიჩევის შემთხვევაში, ეს ასე არაა და შედეგად ყალბი დასკვნაა შემოთავაზებული, მაშინ, როცა შიდა და ზემო ქართლში, ძირითადად, კომპლექსური, ანუ რთული დაგეგმვარების დარბაზები იყო გავრცელებული. კობიჩევი ამ მასალას არ იცნობს, ან არ ითვალისწინებს და საქართველოს ასე უბრალოდ ართმევს კომპლექსური დარბაზის არსებობის პატივს.

თეიმურაზ ჩიქოვანის კლასიფიკაციით, რომელიც ეყრდნობა, როგორც პირველხარისხოვან მეცნიერულ გამოკვლევებს, ასევე მის მიერ მოძიებულ ეთნოგრაფიულ მასალას აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან, ამ რეგიონებში დამკვიდრებულია ერდოგვირგვინიანი სახლის ორი ძირითადი ტიპი, ერთია ერთელემენტიანი, ხოლო მეორე, კომპლექსური სახისა. საქართველოში ამ საცხოვრებელი ნაგებობის ორივე ტიპი იყო გავრცელებული, კერძოდ, შიდა ქართლში, კომპლექსურთან ერთად, გავრცელებული იყო კლასიკური ტიპის ერთელემენტიანი დარბაზი (თბილისი, დიღომი, მცხეთა, წილკანი, ავჭალა). ეს ტიპი უფრო მეტად დამახასიათებელი იყო ქალაქური და ქალაქთან მიახლოებული დასახლებისთვის, იმ რეალურად არსებული პირობით, რომელიც არ ითხოვდა დარბაზში სხვა სამეურნეო დანიშნულების სათავსოების ჩართვას. რაც შეეხება კომპლექსური ტიპის დარბაზს, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული დიდ ოჯახთან, კლიმატურ გარემოსთან თუ უსაფრთხოებასთან, ასევე საოჯახო და სამეურნეო ინტერესებთან, შეუძლებელია იგი კომპლექსური არ ყოფილიყო.

კომპლექსური ტიპის ქართულ ერდოგვირგვინიან დარბაზში გაერთიანებულია: ვრცელი ოთახი, ე.წ. „დარბაზი“, რომლის მოცულობა 40-დან 100 კვ.მეტრამდე აღწევს ფურნე, მარანი-პროდუქტების შესანახად, ბეღელი, საბძელ-ბოსელი, საჯინიბო, სახელამბრე, საციო და კარაპანი, ანუ წინკარი. დარბაზის ცენტრში მოწყობილია კერა, რომელსაც ზემოდან დაჰყურებს გვირგვინი. ხოლო კერის თავზე გვირგვინის სარტყელში დამაგრებულია აყარი, ორიგინალური ხის კონსტრუქცია, რომელსაც იყენებდნენ სხვადასხვა მასალისა თუ სურსათ-სანოვაგის საშრობად. კერაზე დაშვებული საქვაბე ჯაჭვი, ე.წ. „ნაჭა“, დარბაზის გვირგვინი წარმოადგენს, როგორც კვამლის გასასვლელს, ასევე, სინათლის წყაროსაც. თავის მხრივ, გვირგვინი ეყრდნობა დედაბოძს და შენდება ნიყურებით, ანუ გაკუთხული სქელი ფიცრებით, ნიყურების ერთმანეთზე დაწყობით წარმოიქმნება პირამიდული თაღი, რომლის დაბოლოება გადის ბანზე, ანუ სახლის სახურავზე. თავის მხრივ, ბანი დახურულია ხის მჭიდრო კონსტრუქციით, სხვადასხვა სახის ბალასტით, ზედ აყრია თიხა მიწა და წყალი რომ არ გაუშვას, წელიწადში რამდენჯერმე იზეპება ხის ურიოებით.

დარბაზი, საცხოვრებელი სახლის ყველაზე ვრცელი და ნათელი სამყოფი, წარმოადგენდა ცენტრალურ ადგილს და მას გააჩნია ისეთი გამოკვეთილი ატრიბუცია, როგორიცაა კერა – უმნიშვლენოვანესი საკრალური ობიექტი, დედაბოძთან ერთად, რომელთანაც განიხილება საოჯახო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა; კერასთან დგას საუფროსო სკამი – ოჯახის უფროსი მამაკაცისთვის, ხოლო მის მოპირდაპირედ, ასევე გამორჩეული ადგილი, უფროსი ქალისთვის. დარბაზის კედლის გასწვრივ მიდგმულია საწოლი ტახტი, ზოგჯერ რამდენიმე, რომელზედაც იძინებს Mმთელი სახლობა,

→

გარდა ახლადდაქორწინებულთა. დარბაზში თავის რიგზე მოწყობილია წყლის კუთხე, კედელში დატანებულ განჯინებში ინახებოდა საოჯახო სამზარეულო ჭურჭელი, სკივრებში ტანსაცმელი და ათასგვარი საოჯახო საწვრილმანო ნივთები, სხვადასხვა მოცულობის განჯინა – წალოებში ჭურჭლეულობა და საბან-გობანი და ა.შ. (თ. ჩიქოვანი, 1967, 43-88). ერდოგვირგვინიანი, ანუ ერთობის სახლის დარბაზი, დერეფნული სისტემით, უკავშირდება ისეთ სამეურნეო ნაგებობებს, როგორიცაა Fფურნე, სახელამბრე, მარანი, ბეღელი, ბოსელი და საჯინიბო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ყველა ეს ნაგებობა ერთ ჭერქვეშ არაა მოქცეული (მაგ. შესაძლოა მარანს, ან თუნდაც ბეღელს, გააჩნდეს თავისი გვირგვინი), იგი ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ერთ კომპლექსს, ანუ

ისეთ სახის ავტონომიურ უჯრედს, რომლის ყველა ნაწილში მოქმედება სრულდება სახლიდან გაუსვლელად, ესაა სწორედ ერდოგვირგვინიანი, ანუ ერთობის სახლის კომლექსურობისა და მისი მასშტაბურობის მაჩვენებელი, რომელიც თავისთავში ატარებს საოჯახო თემისთვის დამახასიათებელ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმები, საერთო, საოჯახო საკუთრების დაცვა, საერთო წარმოება და მოხმარება, მოვალეობათა განაწილება და სხვა. საგულისხმოა, რომ კომპლექსური ტიპის სამცხე-ჯავახური სახლის საერთო ფართი, ზოგიერთ შემთხვევაში, 500 მ.კვ-ს აჭარბებდა.

აღწერილობებში, რომელიც შესრულებულია XIX საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის 60-იან წლებამდე, საშუალო მაჩვენებლებით, ასეთი ტიპის საცხოვრებელში 30-დან 80 ადამიანი, დაახლოებით 6-7 თაობის შთამომავალი ბინადრობდა. **1922 წლის ცნობით, ამ პერიოდისთვის, სამცხის სოფელ არალში კიდევ არსებობდა ისეთი მოცულობის ერთობის სახლი, სადაც 80 სული ცხოვრობდა.** მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის საცხოვრისის ბევრი უნიკუმი ექსპონატი განადგურდა, მეცნიერმკვლევართა წყალობით, ქართული კულტურის ისტორიას შემორჩა აღწერილობანი ისეთი კლასიკური ტიპის დარბაზებისა, როგორიც იყო **ფორაქიშვილების** – თბილისში, **შოშიტაშვილებისა** და **სულთანიშვილების** – დიღომში, **ბერიტაშვილების** – ზემო ავჭალაში, **გოდერძიშვილების** – გიორგიწმინდაში (გარე კახეთის ეს შენობა ამჟამად გადმოტანილია ღია ცის ქვეშ მუზეუმში), **ჩილინდრიშვილების** – წილკანში, **დემეტრაშვილების** – ყარაღაჯში, **ბერელაშვილების** – ტინისხიდში, **არავიაშვილების** – ბებნისში, **ხუციშვილებისა** და **ბიბილურების** – დვირში, **ოქრომელიძეების** – მუსხში, **ელისაბედაშვილების** – ერთაწმინდაში, **ლიჩელებისა** – ახალციხეში, **ნადირაძეების** – ვალეში, **ზურაბაშვილების** – კოთელიაში, **მურჯიკნელების**, **ხმალაძეების, მღებრიშვილების** და **გოჩაშვილებისა** – ბარალეთში, **თენოშვილების**, **ველიჯანაშვილების, კეღოშვილების, მურადაშვილების** – ხიზაბავრაში და სხვ.

როგორც აღნიშნულ დარბაზთა აღწერილობა გვიჩვენებს, ისინი აყალიბებდნენ ამ ტიპის საცხოვრისის ინდივიდუალურად გამოკვეთილ ტიპს, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია გვირგვინის აგების სისტემა, რომელიც განპირობებულია რაც შეიძლება მეტი ჰაერიზაციისა და სინათლის წყაროს მოზიდვის მოთხოვნილებით. სხვათაშორის, მეცნიერთა ნაწილი გვირგვინის წარმოშობას უკავშირებს ცის თაღის სემანტიკას, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მისი ფორმის ჩამოყალიბებაში ძირითად როლს ასრულებს პრაქტიკული საჭიროება, რაც გამოიხატება სახლიდან კვამლის ეფექტური განდევნისა და სინათლის წყაროს მაქსიმალური მიღებით.

გვირგვინების ფორმისა და ნაირსახეობის მხრივ საქართველო თავისებურ მუზეუმს წარმოადგენს, XIX –XXს.ს. მიჯნაზე აქ კიდევ დადასტურდა კვადრატული, რვაკუთხოვანი და თორმეტკუთხოვანი წყობის გვირგვინები (ჩიქოვანი, იქვე, 189). შეიძლება ითქვას, რომ, ამ თვალსაზრისით, ქართული ერდოგვირგვინი სახლის ანალოგი არ მოიპოვება. სავსებით დამაჯერებელია ლონგინოზ სუმბაძის აზრი იმის შესახებ, რომ **„საქართველომ შემოინახა ამ ტიპის საცხოვრისის ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ტიპები“** (Л.Сумбадзе, Грузинские Дарбази, 1960, 8).

ქართული დარბაზის თავისებურებას ხაზს უსვამს აგრეთვე დედაბოძის ორიგინალური და განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც, პრაქტიკულის გარდა, გააჩნდა ფართო საკულტო - რელიგიური დანიშნულება.

ხალხური წარმოდგენით, დარბაზული სახლის კერა, გვირგვინი და დედაბოძი, წმინდათაწმინდა ადგილია და, ამიტომაც, უმთავრესი საოჯახო რიტუალები აქ სრულდებოდა. მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, დედაბოძის თაყვანისცემას განაპირობებდა ხის კულტის უძველესი ტრადიცია, რომელიც ცის საყრდენადაც მოიაზრებოდა და სიცოცხლის ხის სიმბოლიკითაც იყო დატვირთული. დედაბოძის მორთულობაში ჩადებული იყო სემანტიკური სიმბოლო ნიშნები, რომელიც ოჯახის სიძლიერის, სიუხვისა და კეთილდღეობის გამომხატველად იყო მიჩნეული (ი. სურგულაძე, „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“, 1986, 146-184) ყველაფერი აქედან გამომდინარე დარბაზის დედაბოძი წარმოგვიდგება უიშვიათეს ელემენტად, რომლის ესთეტიკური მხარე ხელოვნების უმაღლესი ნიშნითაა დახასიათებული. ყველა იმ მასალის გათვალისწინებით, რომელიც წარმოგვიდგენს ერდოგვირგვინიანი სახლის აღწერილობას, არცერთ ქვეყანაში არ დასტურდება დედაბოძის და გვირგვინის ისეთი დახვეწილი სახე, როგორც საქართველოში.

მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ერდოგვირგვინიანი სახლი მტკვარ-არაქსის უძველესი კულტურის გავრცელების ისტორიულ საზღვრებს არ სცილდება და თავისი განვითარებული და კლასიკური ფორმით სწორედ აქ უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ყველაზე ადრინდელი ფაქტობრივი მონაცემებით, დარბაზული ტიპის ერდოგვირგვინიანი სახლი, ამიერკავკასიის მასშტაბით, დასტურდება საქართველოში, ესაა ურბნისში, ქვაცხელების ნასახლარზე, მიკვლეული ძეგლი, რომელიც III ათასწლეულის შუა ხანით თარიღდება, საცხოვრისი განკუთვნილი ყოფილა 10-15 სულიანი ოჯახისთვის, რომლის მკვიდრნიც ბინადარ ცხოვრებაზე არიან გადასულნი. თითქმის, ამავე პერიოდითაა დათარიღებული ამირანის გორაზე მიკვლეული მსგავსი საცხოვრისიც. საგულისხმოა, რომ ორივე ეს კომპლექსი ამჟღავნებს გენეტიკურ ნათესაობას ზემო ქართლში გავრცელებულ ერდოგვირგვინიან სახლებთან.

ტრადიციის გაგრძელებისა და შუაფეოდალური ხანის ერდოგვირგვინიანი სახლის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით ყურადღება იპყრობს თეთრიწყაროს მახლობლად სოფ. ჭივჭავაში დადასტურებული XI –XII სს-ის დათარიღებული კომპლექი, რომელიც ანალოგიურია მესხეთში გავრცელებული ერდოგვირგვინიანი სახლისა.

ამგვარად, ურბნისის, ამირანის გორის, ჭივჭავისა და ჯავახეთის დარბაზული ტიპის საცხოვრებელთა შედარება წინ წამოსწევს საცხოვრისის ერთიან ტიპს, რომელიც გავრცელებული იყო ფართო მასშტაბით.

ერდო-გვირგვინიანი სახლის წარმოშობა-განვითარება, პირველყოვლისა, განპირობებული უნდა ყოფილიყო ადამიანის შრომისა და საყოფაცხოვრებო საქმიანობიდან გამომდინარე, იმ პრაქტიკული მოთხოვნილებით, რომელსაც ყოველდღიური ცხოვრება სთავაზობს ადამიანს, მხედველობაშია მისაღები საზოგადოების განვითარების დონეც, რომელიც აუცილებლად გულისხმობს გარკვეული ესთეტიური გემოვნების არსებობას. ასევე მიგვაჩნია, რომ ასეთი ტიპის საცხოვრისი ნაყოფია დიდი საოჯახო თემისა და აღმავალი სამიწათმოქმედო კულტურის არსებობისა.

ზოგადი დასკვნებიდან, რომელიც დარბაზულ-ერდოგვირგვინიანი სახლის გენეზისის პრობლემას შეეხება, ყველა იმ მასალის გათვალისწინებით, რაც კი მოპოებულია და გამოკვლეულია დღემდე, ჩვენი აზრით, გარკვეული პრიორიტეტი ენიჭება ლონგინოზ სუმბაძისა და თეიმურაზ ჩიქოვანის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ერდოგვირგვინიანი სახლი, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ III ათასწლეულში ჩანს, ცენტრალური ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობის საერთო კულტურული მონაპოვარია, რომლის განვითარებაში შემდგომ, სხვადასხვა კულტურულ-ეთნიკურ სამყარში გარკვეული ნაციონალურ-კუთხური იერი შეიძინა, თუმცა, როგორც ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა გვარწმუნებს, საცხოვრებელი სახლის ეს ტიპი, ყველაზე განვითარებული ფორმით, საქართველოშია წარმოდგენილი. განვითარების გზების სხვადასხვაობის მიუხედავად, ერდოგვირგვინიანი სახლი, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, კულტურულ ისტორიული ურთიერთობის აშკარა კვალს ატარებს და იგი ამ რეგიონისთვის თავისი განვითარების სპონტანური პროცესის მატარებელია.

რეზიუმე:

სტატიაში განხილულია „ერდოგვირგვინიანი სახლი“, რომელიც საქართველოში III ათასწლეულში ჩანს გავრცელებული. ცენტრალური ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი ასეთი საცხოვრისი ადგილობრივი მოსახლეობის საერთო კულტურული მონაპოვარს წარმოადგენს. ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ საცხოვრებელი სახლის ასეთი ტიპი ყველაზე განვითარებულ ფორმით საქართველოში ჩამოყალიბდა.

ლიტერატურული მესხეთი 200

გმადლობთ, ბატონო რედაქტორო!

(ღია წერილი ბატონ ავთანდილ ბერიძეს)

ბატონო ავთანდილ,

უპირველეს ყოვლისა, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ თქვენი სახით დიდებულ, მაგრამ უაღრესად თავმდაბალ პიროვნებასთან, ნიჭიერ ლიტერატორთან და ჟურნალისტთან, ეროვნულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწესთან, უპატიოსნეს და უწესიერეს ადამიანთან 10 წელზე მეტია ძალზე ახლო, უშუალო და მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, რითაც ვამაყობ და, ალბათ, ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს ამ ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას შევუწყობ ხელს.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პირველად, ამ 12 თუ 13 წლის წინ, ხელში ჩამივარდა თქვენი რედაქტორობით გამომავალი „ლიტერატურული მესხეთის“ ერთ-ერთი ნომერი (შემდეგ მისი ხელმომწერიც გავხდი). მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტურ საქმიანობაში, ასე თუ ისე, რაღაც გამოცდილება გამაჩნია, საოცრად მხიბლავს გაზეთის არა მარტო დიზაინი, არამედ, პირველ რიგში, საგაზეთო მასალების სიუხვე და მრავალფეროვნება. ყველა წერილში, ნარკვევში, პუბლიკაციასა თუ ინტერვიუში, ხაზგასმით დაცულია ავტორთა თვითმყოფადობა, მათი ხედვა ამა თუ იმ საკითხისა თუ პრობლემისადმი. ყველა მასალა გამართული ქართულითაა მომზადებული, რაშიც, უდავოდ, დიდია თქვენი, როგორც რედაქტორისა და ლიტერატორის წვლილი, მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებით, თქვენ არასდროს არ ერევით ავტორის შიდა სამზარეულოში, რაც ავტორთა მოზიდვის მთავარი და მნიშვნელოვანი ფორმაა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რამდენიმე წლის განმავლობაში, აქტიურად მეთანამშრომლა თქვენს გაზეთთან და არც თუ ისე უინტერესო ინფორმაციები გამომექვეყნებინა „ლიტერატურულ მესხეთში“, რისთვისაც უზომოდ მადლობელი ვარ თქვენი.

კარგად ვიცი, თუ როგორ ურთულეს პირობებში გიხდებათ გაზეთის გამოცემა, ხელმომწერთა და ავტორთა მოზიდვა. გაზეთის რედაქციას, სამწუხაროდ, არ აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი, არ აქვს სტაბილური ფინანსური შესაძლებლობები, არის კიდევ მრავალი ხილული თუ უხილავი სირთულეები, რომლებიც გიძნელებთ მუშაობას, მაგრამ თქვენ, ვაჟკაცურად, მესხური სიჯიუტით (რა თქმა უნდა, კეთილი გაგებით), არ ეპუებით ნებისმიერი სირთულის გამოწვევას და, სტაბილურად, ყოველთვიურად, ათასობით ერთგულ მკითხველს გულს უხარებთ ყოველი ახალი ნომრით, სადაც ლიტერატურით, პროზით, პოეზიით, ისტორიული მასალებით თუ ტოპონიმებით დაინტერესებულ ერთგულ მკითხველს უბრალო, მაგრამ გამართული ქართულით ნაწერ არა ერთ საინტერესო მასალას აწვდით. არ ივიწყებთ არც სახალხო მთქმელებს, მნიშვნელოვან ადგილს უთმობთ ისტორიულ თუ კულტურულ ძეგლებს, მხარეში მოღვაწე ღვაწლმოსილ ადამიანებს, ხალხური რეწვის ოსტატებს და ამით მნიშვნელოვან სტიმულს აძლევთ ახალგაზრდა პოეტებს, მწერლებს, მკვლევარებს, ისტორიკოსებს, მხატვრებს და ა.შ.

მცირე შესაძლებლობების მიუხედავად, აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ გაზეთი მხარის ყველა კუთხის, მთისა თუ ბარის, დიდი თუ პატარა სოფლის, დაბისა და ქალაქის ცხოვრების აქტიურ მაჯისცემას მხარს უბამს. უყურადღებოდ არ რჩება თუნდაც მცირე, მაგრამ ამა თუ იმ მიმართულების ფაქტის, მოვლენის საინფორმაციო უზრუნველყოფის აუცილებლობა. ხელს უწყობთ ხალხთა შორს მეგობრობის განმტკიცებას. გაზეთის ფურცლებზე არაერთი არაქართველი ავტორის შემოქმედებასაც ეცნობა მკითხველი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თამამად უნდა ითქვას, რომ თქვენი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, მნიშვნელოვან პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს მხარის წარსულის, აწმყოსა და მომავლის განსაზღვრის საქმეში. თუ ამას დავუმატებთ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ყოველწლიურად ჩატარებული ქართული პოეზიის შესანიშნავ დღესასწაულებს, „შოთაობის“ სახელწოდებით, თქვენი მოღვაწეობა ხელისუფლების მხრიდან საყოველთაო დაფასებასა და პატივისცემას იმსახურებს. თუმცა, თქვენ არასოდეს ყოფილხართ ჩინ-მედლებისა და ჟინჟილების მოყვარული და მუხლჩაუხრელად, პატიოსნად დგახართ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიული მხარის – სამცხე-ჯავახეთის კულტურული და სამწერლო ცხოვრების წმინდა სადარაჯოზე.

კარგი იქნება თუ მხარის პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელები, ყველა მუნიციპალიტეტების თავკაცები, ბიზნესმენები, ერთობლივი ძალისხმევით, ფინანსური და მორალური მხარდაჭერით, ხელს შეუწყობენ გაზეთის რედაქციას, რათა გაიზარდოს მისი გამოცემის პერიოდულობა, გვერდების რაოდენობა, რაც საშუალებას მოგცემთ მთლიანად მოიცვათ მხარის ყველა კუთხე-კუნჭული, მეტი სასიკეთო ინფორმაცია მიაწოდოთ მოსახლეობას, კიდევ უფრო შეუწყოთ ხელი მხარის ახალგაზრდების დაინტერესებას კულტურული და სამეურნეო ცხოვრების, ტურიზმის, სპორტის განვითარებისთვის და ა.შ.

ბატონო ავთანდილ!

ბოდიშს გიხდით გულახდილობისთვის, თუმცა, კიდევ ბევრი კარგი რამის თქმაც შეიძლებოდა თქვენსა და გაზეთის რედაქციის მისამართით, მაგრამ, სადღეისოდ, ამას ვიკმარებ, – როგორც იქნა ჩემი ხანგრძლივი გულისნადები ფურცელზე გადავიტანე და ამით გამოვხატე ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენდამი და გაზეთისადმი.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, გულწრფელად მინდა მოგილოცოთ გაზეთის საიუბილეო – მე-200-ე ნომრის გამოსვლა. ღმერთმა ჰქნას ჩვენი საყვარელი გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ კიდევ მრავალი საიუბილეო თარიღის მომსწრენი გავმხდარიყავით.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

ღრმა პატივისცემით,
თეიმურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

,,ლიტერატურული მესხეთი“ და მისი რედაქტორი

თავისი გამოცემის მეჩვიდმეტე წლისთავზე გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის“ მე-200-ე ნომერი გამოვიდა.

დიდებული საიუბილეო თარიღია!

თავიდანვე მომხიბლა გაზეთის სახელწოდების სიმბოლურ-მხატვრულმა გაფორმებამ: სახელწოდების წინ მოთავსებულ სურათში ვარძიის ერთი ნაწილის თაღოვანი სარკმლიდან მოჩანს კლდეში ნაკვეთი ქალაქის მეორე ნაწილი. ამით ხომ საქართველოს ისტორია შემოგვცქერის, სახელდობრ, სამცხე-ჯავახეთის ისტორია. ამასთანავე, ამ სურათ-სარკმლიდან აირეკლება ქართული გენის სიამაყეც, დამშვენებული გიორგი ლეონიძის სტრიქონებით: ,,დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“!.. ესეც მინიშნებაა იმისა, რომ საამაყო წარსულს საამაყო მომავალი შევაგებოთ!

დარწმუნებული ვარ, ამ სიამაყის გრძნობამაც დაბადა თავის დროზე ეს გაზეთი! მერე და, ამართლებს სახელწოდების მხატვრული გაფორმების სიმბოლიკას ,,ლიტერატურული მესხეთი“ ? – ნამდვილად ამართლებს!

გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას მე, პირადად, მოუთმენლად იმიტომაც ველი, რომ მისი ფურცლებიდან შემომანათებს ქართული ეთნოსი, ქართული ფოლკლორი, მშვენიერი პოეზია, პროზა, კომპეტენტური ავტორების კომპეტენტური წერილები... ჯერ მარტო გაზეთისგან ლიტერატურული კონკურსის გამოცხადება რად ღირს! რუსთაველის მხარეში რამდენი პოეტი გვყოლია! ბარაქალა!

ყოველი გაზეთი თავის გამომცემელს, კერძოდ, თავის რედაქტორს რაღაცნაირად ჰგავს! ჰოდა, შინაარსიანი ,,ლიტერატურული მესხეთი“, ზედგამოჭრილი ასლია რედაქტორის –ბატონი ავთანდილ ბერიძისა! მე მას ვუწოდებ ,,სამცხე-ჯავახეთის კულტურისა და ისტორიის მეციხოვნეს“! ამ ,,მეციხოვნეობის“ გამო საკუთარი წიგნების შექმნა-გამოცემისთვის ვეღარც კი იცლის!

გადაუჭარბებლად ვამბობ: მაოცებს ბატონი ავთანდილის რუდუნება, საინტერესო ავტორთა მოძებნის უნარი, მართლაც ხალასი პატრიოტიზმი და პიროვნული დიდბუნებოვანება!

ყოველწლიური პოეზიის დღესასწაულის – ,,შოთაობის“ გამართვაშიც ლომის წილი ,,ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორისაა!

გმადლობთ, ბატონო ავთანდილ, ამისათვის!

გილოცავთ თქვენი (ჩვენი) გაზეთის საიუბილეო ნომრის გამოცემის საიუბილეო თარიღს!

უშანგი ჯანგირაშვილი
ბორჯომი

ეჯთი თაჯილის ღაგუსტეპისთვის

რომან გოგოლაური

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ზაალ არაგვის ერისთავის შესახებ წერია: **„არაგვის ერისთავი (1633-1660) უმეფობის ხანაში ფაქტობრივად განაგებდა კახეთს. როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის ბრძოლის დროს ზაალი თეიმურაზი I-ის მხარეზე იყო. 1648 წლიდან, თეიმურაზის დამარცხების შემდეგ, როსტომ მეფეს შეურიგდა და ირანის შაჰისაგან საერისთავო დაიმტკიცა. ზაალი იყო კახეთის 1659 წლის ანტიირანული სახალხო აჯანყების საერთო ხელმძღვანელი. აჯანყების ჩაქრობის შემდგომ მოკლეს საკუთარმა ძმისშვილებმა 1660 წლის 13 მაისს“** (ქსე, ტ.4.თბილისი, 1972, გვ 467).

ბახტრიონის გმირულ ეპოპეას მრავალი ზოგადი თუ სპეციალური ხასიათის ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნ. ბერძენიშვილის, ი. ცინცაძის, თ. ტივაძის, ნ. ნაკაშიძის, ნ. ასათიანის, თ. ბოცვაძის, დ. კაჭარავას და სხვათა შრომები. მიუხედავად მათი დამსახურებისა, ზოგიერთი საკითხი ახლებურად გააზრებას და დაზუსტებას საჭიროებს. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ერთი თარიღის დაზუსტებას, რომელიც ზაალ ერისთავის მკვლელობას ეხება.

ვიდრე უშუალოდ არაგვის ერისთავის მკვლელობას შევეხებოდეთ, მოკლედ უნდა აღვნიშნოთ თუ რა მდგომარეობაა ბახტრიონის აჯანყების თარიღთან დაკავშირებით, რომელიც უცილობელ წინაპირობას წარმოადგენს ზაალ არაგვის ერისთავის მკვლელობის თარიღის დაზუსტებისთვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია ჩამოყალიბდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბახტრიონის აჯანყება 1659 წლის ზაფხულში მოხდა[1]. ეს თარიღი ქართული წყაროებიდან, მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილს მოეპოვება[2] პროფ. ი. ცინცაძე რუსული საარქივო მასალების შეასწავლის საფუძველზე წერს: **„..... 1659 წლის ივნისში, თუშებს რუსეთში მიუვლენიათ ორი კაცი, რომელნიც თეიმურაზის მიერ იმერეთიდან გამოგზავნილ პირებთან ერთად ასტრახანში შეყრილან 1661 წელს.....“ .. ასტრახანში მათ განუცხადებიათ: Посланы де оны к великому государю во 1668-м году в июне месяце ... “**.[3] თუშმა ელჩებმა, ოსტაპ არაბულმა და აბულ ოსტროულმა, რომლებიც თერგზე 1660 წლის შემოდგომაზე ჩავიდნენ[4] მათივე განცხადებით, მხოლოდ იქაური ჩერქეზებისგან შეიტყვეს, რომ, **„თურმე, ყიზილბაშთა შაჰმა საქართველოში ყიზილბაში ხალხი თავისი ცოლებითა და შვილებით (ასიათასამდე) გამოგზავნა და უბრძანა მათ დაესახლებინათ მთელი საქართველოს მიწაწყალზე, რათა მას საქართველო საბოლოოდ დაემორჩილებინა. თუშებმა, როცა ეს შეიტყვეს, გაერთიანდნენ მათ წინააღმდეგ, ჩუმად თავს დაესხნენ იმ ხალხს და დედაბუდიანად ამოწყვიტეს, ზოგი დაატყვევეს, ზოგი კი შაჰთან გაიქცა“**-ო.[5]

ზემოაღნიშნული ცნობების საფუძველზე პროფ. ი. ცინცაძე ასკვნის: ვინაიდან 1659 წლის ზაფხულში თუშეთიდან წასულმა ელჩებმა არაფერი იცოდნენ ბახტრიონის აჯანყების შესახებ, ამიტომ ამ ისტორიულ ფაქტს მხოლოდ 1659 წლის ივნისის შემდეგ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილიო.[6] თ. ტივაძის აზრით, „მსჯელობა ლოგიკურად სწორია, მაგრამ დასკვნა არ არის მართებული. ჯერ ერთი, რუსული დოკუმენტის 1668 წელი უტოლდება და არა 1659-ს; მეორეც, არ არის გამორიცხული, რომ თუშების ელჩები გარკვეული მოსაზრებებით მალავდნენ კახეთის აჯანყების ამბავს. ამას შეიძლება დაეშინებინა რუსეთის მთავრობა და აღარ გამოეშვა ერეკლე მოსკოვიდან საქართველოში.“[7]

თ. ტივაძის დაეჭვება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ თუ აჯანყება 1659 წლის ზაფხულში მოხდა, როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თეიმურაზ პირველმა, რომელიც 1659 წლის სექტემბრამდე სარატოვში იდგა და განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა სამშობლოსთან, ამ ამბების შესახებ ვერაფერი შეიტყო და კახეთში დაბრუნების ნაცვლად იმერეთში გადავიდა? ასევე აუხსნელია, ვახტანგ V-მ (შაჰ-ნავაზმა) 1660 წლის მაისამდე რატომ დატოვა დაუსჯელად ზაალ ერისთავი და აჯანყების სხვა მოთავეები? აღნიშნული თვალსაზრისი მკვლევარმა კიდევ ერთხელ გაიმეორა 1990 წელს თავის მონოგრაფიაში **„თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა“**; თბ., 1990წ. გვ 142-145.

ცნობილი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე აღწერს რა ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ იმერეთში დაწყებულ აშლილობას, აღნიშნავს: **„არაგვის ერისთავი უკუსდგომოდა და ბატონის თეიმურაზის სკანდის ციხეში კაცი და საფიცრის (წიგნი) გაუგზავნა, რომ ქართლსა და კახეთს თქვენის მეტი მემკვიდრე პატრონი არსად დარჩომილაო, მანდ ნუ დგახარ, კახეთს ჩაბრძანდითო, ქართლიც თქვენი იქნებისო..“**[8]

ამ დროს, მისივე ცნობით: **“..თუშთაო, რაც კახეთში თათარი ყოფილაო, ამოუწყვეტიათო, ყაენს ერისთავისათვის დაუბრალებიაო“**.[9] სკანდაში **თეიმურაზი** 1660 წლის მარტიდან ზაფხულამდე იყო, ე.ი. აქაც იგივე თარიღებია მოცემული.[10]

ბახტრიონის აჯანყების 1660 წლით დათარიღება არც უცხოელი ავტორებისთვის არის უცხო და ჩვენს პრიორიტეტს არ წარმოადგენს. მაგალითად, **არაქელ დავრიჟეცი** მიუთითებდა: **“..იმავე წელს (ლაპარაკია 1659 წელზე-რ.გ) სპარსელი ხელმწიფის შაჰ-აბას მეორის ბრძანებით მაჰმადიანების ტომებიდან 1500 ოჯახი თურქი წაუყვანეს, კახეთი აავსეს და იქ დაასახლეს. 1660 წელს კავკასიის მთებში მობინადრე ქართველი ხალხი, რომელსაც თუშებსა და ფშავებს უწოდებენ, მოვიდნენ ღამით და თურქების ამ 1500 ოჯახს მახვილით მუსრი გაავლეს“**.[11]

საყურადღებოა შაჰ-აბას II-ის ერთი ფირმანი, რომელიც 1660 წლით თარიღდება. შაჰი უბრძანებს **მურთაზა ყული ხანს** და **ალი ყული ხან ქენგერლუს**, რომლებიც კახეთის **„ახლანდელი მმართველები“** არიან, რომ ვინმე კახელი **ისა-ბეგის** მამულების მიმართ მოიქცნენ თანახმად სიგელისა, რომელიც ცალკე იქნება გამოცემული.[12] იქვე ქვემოთ სპარსი ისტორიკოსი **მუჰამედ თაჰერი** აღნიშნავს, რომ **„მაღალადგილოვანმა ყულაღასარმა/ალავერდიხანმა/ თანახმად უმაღლესი ბრძანებისა 15 ათასი ოჯახი ელებისა დადგენილი წესის მიხედვით საქართველოში გაგზავნა და იქ სამი ციხე ააშენა. ხსენებულ სამ ციხეს შაჰაბადი, ისლამაბადი და ნოსრათაბადი ეწოდა. ამის შემდეგ კახეთი სამმართველოდ გადაეცათ ყარაბაღისა და ნახიჭევანის ბეგლარბეგებს სამმართველოდ“**.[13] ეს ციხეები ქართული წყაროებით ბახტრიონი და ალავერდია. ალავერდის მონასტრის გალავანი მათ ციხედ გადაკეთეს. მესამე ციხე ყარაღაჯი უნდა იყოს,[14] რომელიც მურთაზა ყული-ხანის რეზიდენციად იქცა.

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები ბახტრიონის აჯანყების თარიღად 1660 წელს მიიჩნევენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ **შაჰ-აბას II-ის** ზემოხსენებული ფირმანი 1660 წლის მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისშია გაცემული და მასში მოხსენებული **ალი-ყული-ხანი** კახეთის ერთ-ერთ გამგებლად და **ისლამაბადის** (ანუ ბახტრიონის) ციხის მფლობელად არის დასახელებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აჯანყების ქვედა ზღვარი 1660 წლის ივნისი იყოს. ხოლო, რადგან ჩრდილო კავკასიაში 1660 წლის სექტემბერში უკვე ცნობილი გამხდარა ამ აჯანყების ამბავი, ზედა ზღვრად სექტემბერი უნდა მივიჩნიოთ. გამომდინარე აქედან, რაც ჩვენთვის საინტერესოა, ზაალ ერისთავის მკვლელობა 1660 წლის 13 მაისს ვერ მოხდებოდა. ამიტომ ერისთავის მკვლელობა 1660 წლის სექტემბრის შემდეგ არის საძიებელი.

თუ ჩვენი ვარაუდი შემდგომი კვლევა-ძიებით დადასტურდა, მაშინ თეიმურაზის დატყვევება სკანდის ციხეში **შაჰ-ნავაზის** მიერ, პირდაპირ კავშირში უნდა იყოს **ზაალის** მკვლელობასთან. **მოჰამედ თაჰერის** ცნობით, **შაჰ-ნავაზის** პირველი ლაშქრობა იმერეთში 1660 წლის სექტემბერში მოხდა[15]. ვფიქრობთ, რომ ბახტრიონის აჯანყება უნდა ემთხვეოდეს ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი) ლაშქრობას იმერეთში, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოში მდგარი ირანული გარნიზონების დიდი ნაწილი იღებდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობას და კახეთში ჩასახლებული ელები ფაქტიურად დაუცველნი იქნებოდნენ. ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე ანტიირანულმა ამბოხებამ დაღესტანში, კერძოდ, ყაიტაგში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბახტრიონის აჯანყების პარალელურად. პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ფაქტისთვის ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია. ამ საკითხს ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა დაღესტნელმა ისტორიკოსმა მ. უმახანოვმა.[16] მკვლევარ თ. ტივაძის დასმულ კითხვას **„თუ რატომ დატოვა ვახტანგ V 1661 წლის გაზაფხულამდე დაუსჯელად ზაალ ერისთავი (თავი რომ დავანებოთ შაჰის ხანებს, რომლებიც უამრავი ჯარით იდგნენ ყარაჯაღლსა და სხვა პუნქტებში)“**[17], შეიძლება აქედან გამომდინარე, პასუხი გაეცეს. უმიხანოვის ცნობით, ბახტრიონის აჯანყების პარალელურად, დაღესტანში – ყაიტაგში მოხდა აჯანყება, 1645 წელს დამხობილი ყაიტაგის უცმის **რუსტამ-ხანის** შვილის ულუგის ხელმძღვანელობით, ამან შაჰ-აბას II აიძულა ალავერდი-ხანისათვის ებრძანებინა, შირვანის მფლობელ ჰაჯი-მანუჩარ-ხანისათვის გამოეყო აღმოსავლეთ კავკასიაში მყოფი გარნიზონებიდან 15 ათასი მეომარი დაღესტანში სალაშქროდ. ჩვენი აზრით, კახეთში მყოფი ირანული გარნიზონებიდანაც უნდა გაეწვია ჯარი დაღესტანში, რაც უცნობი არ უნდა ყოფილიყო ბახტრიონის აჯანყების მეთაურებისთვის, რამაც ხელი შეუწყო აჯანყების წარმატებით დასრულებას.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ზაალ ერისთავის მკვლელობის თარიღს, ქართულ წყაროებში ორგან არის დაფიქსირებული. **ვახუშტი ბატონიშვილი** ამის შესახებ წერს: **“..ამათ მოსულთა (ზაალის ძმისწულები-რ.გ.) დუშეთს თავისწონაობასა შინა მოურთეს ექუსთა მახვილნი და მოკლეს ზაალ ერისთავი, ბიძა თჳსი, ქ“სა ჩ“ქÃ, ქარ. ტ“მÃ, მაისს თ“, კჳრიაკესა.“**[18] ეს კი 1660 წ. 13 მაისს, კვირას ნიშნავს. მეორედ ეს მკვლელობა ქრონიკებშია დაფიქსირებული – **“ ქკ“ს: ტმÃ: კვლად მოკლეს ზაალ ერისთავი მაისი : იგ: კვირას“.**[19] როგორც ვხედავთ, ორჯერვე ერისთავის მკვლელობა 1660 წლის მაისით თარიღდება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ **ვახტანგ V**-ის პირველ ლაშქრობას (1660 სექტემბერი) იმერეთში თეიმურაზ I-ის დატყვევება არ მოჰყოლია. ამის შემდეგ ფაქტიურად იმერეთის საქმეების მოგვარება უკვე მეორე პლანზე გადავიდა, ვინაიდან ვახტანგ V-ის მთავარი საზრუნავი აჯანყების მეთაურების, მათ შორის ზაალ ერისთავის დასჯა უნდა ყოფილიყო. ამაზე ბერი **ეგნატაშვილიც** საგანგებოდ მიუთითებს **“..და, მას ჟამსა ზაალ ერისთავი არა მორჩილებდა მეფესა შანავაზსს და იყო განდგომილ, ამისთჳს ვეღარა წარვიდა იმერეთს“**[20], **რაც შეეხება ვახტანგ V-ის მიერ იმერეთის დაკავებას, ამის შესახებ „ქრონიკებში“ 1661 წელია მითითებული - “.. ქკ“ს : ტმთ: შანაოზ (ვახტანგ V-რ. გ.) მეფემ იმერეთი დაიჭირა“**[21].

ჩვენი აზრით, ვახტანგს იმერეთი ზაალის მოკვლის შემდეგ უნდა დაეკავებინა და სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა **თეიმურაზ I** მისი საპატიო ტყვე. ვინაიდან ზაალი იყო თეიმურაზის ძლიერი დასაყრდენი კახეთის ტახტის დაკავებისათვის ბრძოლაში. ზაალის მოკვლის შემდეგ თეიმურაზი თითქმის მარტო დარჩა ვახტანგ V-ის პირისპირ. ჯანგატეხილ და ნებისყოფაშეუდრეკელი თეიმურაზისთვის სხვა გამოსავალი აღარ არსებობდა და მანაც ყაენთან წასვლა და ამით კახეთის აოხრებისაგან გადარჩენა არჩია.

ქართული წყაროების მიხედვით, **ზაალ არაგვის ერისთავის** მკვლელობა 1660 წლის მაისით არის დათარიღებული, ხოლო ბახტრიონის აჯანყების თარიღად, საბოლოოდ, 1660 წლის ზაფხული – შემოდგომის დასაწყისია მიჩნეული, მაშინ სადაო აღარ უნდა იყოს, რომ ზაალის დასჯა, სწორედ აჯანყების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ვფიქრობთ ზაალ ერისთავის დასჯის თარიღად 1661 წლის მაისი უნდა იყოს მიჩნეული, რაც საკითხის ირგვლივ არსებულმა არაერთმა რეალიამ დაადასტურა.

---

1. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ.306.
2. ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ტ.IV ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973.
3. ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-Fშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის შუახანებში) „მნათობი“, 1959, N 2.გვ.173-184.
4. გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქ-ოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685წწ.)„საისტორიო მოამბე“.ტ.23-24,თბ., 1970.გვ.155.
5. იქვე
6. ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 182
7. თ. ტივაძე, თუშ-ფშავ-Xევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის(XVIIს-ის 50-60-იანი წლებში) კრბ. ძიებანი საქ-ოს და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ.243
8. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბ., 1926; გვ.62-63
9. იქვე
10. თ. ტივაძე, საქართველოს საკიტხი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, თბ., 1973
11. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქ-ოს სესახებ. თბ., 1974, გვ.56
12. სპარსული ისტორიული საბუტები საქ-ოს წიგნსაცავებში, წიგნI, ნაკვეთი I, გამოსცა ვლ.ფუთურიძემ, თბილისი., 1961, გვ.79-80
13. გ. ფუთურიძე, Mმოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნარკ. 30, თბ., 1954,გვ.393.
14. ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ., 194.
15. Mმოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ.., გვ. 401.
16. Умаханов М- с. К. Взаимоотношения феодальных владений и освабадительная барьба народов Дагестана в XVII веке, Махачкала, 1973, 189-199.
17. თ. ტივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.243.
18. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.448.
19. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, თფილისი, 1892, გვ.477.
20. ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ.437.
21. თ. ჟორდანია, ქრონიკები.. გვ.479.

ზეფი რაჰ ლეფელ იდუმალის ფალასავ

ელდარ ზაზაძე

სოფელი იდუმალა მდებარეობს ასპინძის რაიონში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1100 მეტრ სიმაღლეზე, რაიონული ცენტრიდან 3 კილომეტრის დაშორებით *(ქსე. ტV, გვ.79, თბ.,1980)*. იდუმალას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ასპინძა, ჩრდილო-აღმოსავლეთით – სოფელი ოთა, ჩრდილოეთიდან – სოფელი ოშორა, ჩრდილო-დასავლეთით – სოფელი რუსთავი, დასავლეთით – ნასოფლარი ღობიეთი, ხოლო სამხრეთით – ორგორის ქედი. სოფლის შუაგულში ჩამოედინება პატარა მდინარე, რომელსაც ადგილობრივები ოშორულას ეძახიან. ოშორულა სოფელს ორ ნაწილად ყოფს. მდინარის მარცხნივ დასახლებას მლაშისხევს უწოდებენ. მარჯვნივ – იდუმალას. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) სამცხის აღწერისას ახსენებს ოშორულას: **„კუალად მტკუარს მოერთვის, წითელ კლდეს ზეით, ღობიეთის პირისპირ, ოშორას ჴევი.გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე“** *(ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“. ტ.4, გვ.666,1973)*.

იდუმალა შედის ოშორის თემში, რომელიც აერთიანებს იდუმალისა და მლაშისხევის დასახლებას. მას უკავია ნასოფლარები: ახაშენი (ახალშენი) და კაკლიანი. კაკლიანის ტერიტორიაზე არის ძველი ნამოსახლარები. სავარაუდოთ ის ნასოფლარი კარკლანი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოს ს. ჯიქია აქვს საინტერესო მოსაზრება: მისი მოწმობით, **„კარკლანი იდუმალასა და რუსთავს შორის არსებული პუნქტია“** *(ს.ჯიქია,ვ.დ.დ.,გვ.203, III,1958)*.

სახელწოდება იდუმალა ქართული წარმომავლობისაა, რაც ფარულს, მალულს, საიდუმლოს ნიშნავს (*„ქართ. ენის განმ. ლექსიკ.“,ტ. IV,გვ.602,1955)*. გადმოცემით, **„იდუმალაში ყოფილა მიწისქვეშა სამალავები, სადაც, მტრის შემოსევების დროს, ხალხი თავს აფარებდა, სამალავში ცხენიანად შეეძლოთ შესვლა, გაუჩინარდებოდნენ... ერთი გვირაბი მტკვრამდე ჩადიოდა... აქედან დარქმევია ამ სოფელს ეს სახელი“**. არსებობს მეორე ვერსია, რომლის მიხედვითაც იდუმალის სახელწოდების წარმოშობა გენერალ ტოტლებენის სამცხეში „გამოლაშქრებას“ უკავშირდება: **„ტოტლებენს მეფე ერეკლე II ასპინძის ბრძოლის დაწყებამდე (1770 წელი), იდუმალის ტერიტორიასთან მიუტოვებია, „იდუტ მალაო“ და უკან გაბრუნებულა, ეგ სახელწოდებაც მაგედან დარქმევია“**. ეს ვერსია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან, საისტორიო წერილობითი წყაროების მიხედვით, იდუმალა, როგორც დასახლებული პუნქტი, ტოტლებენის გამოჩენამდე 175 წლით ადრე იყო ცნობილი.

იდუმალის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას XVI საუკუნის ოსმალური წერილობითი წყარო გვაუწყებს. როგორც ცნობილია, 1578 წელს ოსმალეთის იმპერიამ მესხეთი მიიტაცა. ოსმალებმა დაპყრობილ ტერიტორიაზე, გადასახადების აკრეფის მიზნით, ჩაატარეს მოსახლეობისა და მათი უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა. 1595 წელს შეადგინეს სპეციალური საგადასახადო წიგნი, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეწოდა. „დავთრის“ დროს იდუმალაში 17 კომლი ქართველი ქრისტიანი ცხოვრობდა. ცნობილია ოჯახთა უფროსების სახელები: **ბადუჩა, პაპუნა, მამუკა, ბატატა, გრიგოლა, მახარა, პავლია, თევდორე** და სხვა. ასევე ცნობილია მათი სამეურნეო საქმიანობა, სოციალურ-ეკონომიკური მხარე და ა.შ. აქაურები გადასახადებს იხდიდნენ ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტნეულზე... (ს.ჯიქია,II,გვ.,139-140,1941)

მლაშისხევი „დავთრის“ დროს, იდუმალის მეზობელი სოფელია, სადაც 10 კომლი ქართველი ქრისტიანი ცხოვრობდა. ოსმალურმა საგადასახადო დავთარმა შემოგვინახა მლაშისხევში მცხოვრებ ოჯახთა უფროსების სახელები: **ბარდია, აღდგომელა, ღვინიას შვილიშვილი, კვირიკა, გრიგოლას შვილიშვილი** და სხვა. დავთარი ასევე გვამცნობს აქაურების სამეურნეო საქმიანობასაც (ს.ჯიქია,II,146-147,1941). გადმოცემით, სახელწოდება **„მლაშისხევი“** აქ არსებული მარილიანი ნიადაგის გამო დარქმევია. **„ლაშხევში (მლაშიხევი) მარილიანი წყარო გამოდის, ხოლმე შრება იმ ადგილას, მიწა სულ გადათეთრებულია“**. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით, მლაშობი არის „მლაშე ნიადაგი-ბინი, აღჭადი“...

„დაბლა წაბლის ტყე გაშლილა,
დათვის ნამტვრევი ღამითა,
იქვე კლდე ჰყუდავ ყვითელი,
მლაშობი ჟონავს მაღლითა“
(ვაჟა)(„ქეგლ“,ტ. V,გვ. 542, თბ., 1958).

ადგილობრივები დღეს მლაშისხევს ლაშხევად უფრო მოიხსენიებენ. როგორც ს.ჯიქია განმარტავს, **„ლაშხევი“ „მლაშხევის“ არასრული ფორმაა, სადაც „მ„თავკიდურთან ერთად ამოვარდნილია „ს“ თანხმოვანიც“.**

„სამცხეში იყო მეორე მლაშისხევიც ახალციხესა და სოფელ მარდასთან“ *(ს.ჯიქია,III,202-203,1958)*.

ლაშხევის ცენტრალურ ნაწილში, შემაღლებულ გორაკზე, შემორჩენილია სამლოცველოს ნაშთები. მთხრობელთა თქმით, **„აქ ღვთისშობლის სახელობის ეკლესია ყოფილა, რომელიც თათრებს მეჩეთად გადაუკეთებიათ“... „იდუმალაშიც ყოფილა ეკლესია და კოშკიც“. ამ ადგილას ეხლა სოფელი საკუთარი ძალებით აშენებს წმინდა ნინოს სახელობის სამლოცველოს“**. კოშკის არსებობის შესახებ ინფორმაცია ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძის ჩანაწერებშიც არის დადასტურებული: **„იდუმალას ყოფილა კოშკი, სულ საძირკვლამდე დაუქცევიათ„(გ. ბოჭორიძე, „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“,** გვ.18,თბ.,1992)

აღსანიშნავია, რომ ოსმალების დაპყრობითი პოლიტიკა ითვალისწინებდა ქრისტიანი მოსახლეობის სულიერ გადაგვარებას და მატერიალური კულტურის მოსპობას, რაზეც არაერთი ავტორი მიუთითებს: **„თურქები ცეცხლითა და მახვილით ამუსლიმანებდნენ სამხრეთ საქართველოს ქართველებს და უსპობდნენ მათ ქრისტიანული სარწმუნოების ყოველგვარ ნაშთს, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქართველები საიდუმლო სამლოცველოებში გადამალული ხატებითა და ჯვრებით ლოცულობდნენ“** *(ხ.ახვლედიანი, „სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, გვ.42-43,ბათ.,1956)*. გარდა ღიად გამოხატული რელიგიური ზეწოლისა, ოსმალები საგადასახადო კანონებითაც ავიწროვებდნენ ქრისტიან ოჯახებს. დამპყრობთა წესების თანახმად, ყოველი ქრისტიანი ოჯახი ვალდებული იყო გადაეხადა სულადობრივი გადასახადი „ისფენჯი“, რაც განსაკუთრებით მძიმე ტვირთი იყო მრავალსულიანი ოჯახებისთვის. გამაჰმადიანების შემთხვევაში კი აღნიშნული ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ (შ.ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, გვ.409, თბ.,1975). იყო შემთხვევები, როცა ერთ ოჯახში ძმებს, გადასახადების სიმძიმის გამო, სხვადასხვა სარწმუნოება ჰქონდათ (შ.ლომსაძე, დასახ.ნაშრ.,გვ.287). ქრისტიანებზე რელიგიური ზეწოლა XVII საუკუნის შუა ხანებიდან გაძლიერდა. 1639 წელს ირანსა და თურქეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ირანმა სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის გავლენის სფეროდ აღიარა (შ.ლომსაძე,იქვე, 286). პირველ რიგში, ოსმალო მოხელეები შეძლებულ ფენას – ფეოდალებს საკუთარი პრივილეგიების შესანარჩუნებლად რჯულის გამოცვლას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კარგავდნენ თანამდებობებს, ან თავიანთი მამულების დატოვება უხდებოდათ (შ.ლომსაძე, იქვე. გვ.287).

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მხარის მოსახლეობის ნაწილი თანდათან გამაჰმადიანდა, ასევე დაკარგეს მშობლიური ენაც. გიორგი ბოჭორიძე 1930-იანი წლების დასაწყისში, სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას, აღნიშნავდა: **„იდუმალას არიან ქართველი მაჰმადიანები 40 კომლი. ენა დავიწყებული აქვთ“... „ლაშხევს არიან ქართველი მაჰმადიანები 40 კომლი. ენა დავიწყებული აქვთ“** *(გ.ბოჭორიძე,იქვე.გვ.18)*.

ენა დაკარგული და რჯულშეცვლილი მესხები, რომელთაც ეროვნულ-ფსიქოლოგიური გარდაქმნა განიცადეს, 1944 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, დეპორტირებული იქნენ შუა აზიის ქვეყნებში.

დღეისათვის იდუმალაში 86 კომლი ცხოვრობს, მოსახლეობის თითქმის სრულ უმრავლესობას მთიულეთ-გუდამაყრის ხეობიდან ჩამოსახლებული ოჯახები შეადგენენ, რომლებიც სამცხეში 1944-45 წლებში ჩამოსახლდნენ: ჭართალი, ფასანაური, ბახანი, ლუთხუმი, წინამხარი, თორელანი, ლაგაბიანი, დიდებანი, გამსი, ჩოხი, ჯუღისი, დოლას ქედი, დუმაცხო, მანასეული, კობანი, წიფორი, მლეთა, სეთურები... ეს იმ სოფლების არასრული ჩამონათვალია, საიდანაც ჩამოსახლდნენ ახალმოსახლეები. **„ასე, თვრამეტზე მეტი სოფლიდან ოცი გვარის ოჯახი ჩამოსახლებულა, პატარ-პატარა სოფლებია. ესენია: აბულაძეები, აფციაურები, ბიბილაშვილები, ბურდულები, ბექაურები, გოგიშვილები, ლალიაშვილები, კედელაშვილები, კობაიძეები, ნარიმანიძეები, ქავთარაძეები, ქარჩაიძეები, შალვაშვილები, ჩოხელები, წიკლაურები, ჯიქურები და სხვა“.**

მთიულების ჩამოსახლების შესახებ საინტერესო ისტორიას ცოცხალი მემატიანე, იდუმალის მკვიდრი, ცნობილი სახალხო მთქმელი, ბატონი მოსე ბექაური ასე იხსენებს. ინტერვიუ ჩაწერილია 2003 წელს მკვლევარ მარინე ბერიძის მიერ, რომელიც ავტორმა წიგნად გამოსცა 2005 წელს: **„გუდამაყარში მოიდნენ და კრებები ჩაატარეს, სია შეადგინეს სოფლებში, დიდი დრო არ დასჭირებია ამას, ერთი თვე რო გამოცხადდა და... სურვილით იყო, ძალდატანება არ ყოფილა, ვისაც უჭირდა, წავიდნენ, ვისაც არა – ისევ ადგილზე დარჩა. პური არ იყო, იქ მიწა არ არი, ისეთი რო დათესო და მაიყვანო მოსავალი, მით უმეტეს, კაცები აღარ იყო, ცხვარში ქალები დადიოდნენ ძირითადად. სამი კაცის ადგილას ერთი კაცი იყო, ისაც მოხუცები, ომიანობი დროს“...**

„... პირველად რო ჩამოგვასახლეს, მთიულები და მესხელები ვიყავთ და თითქმის თათრებს ვეძახოდით ჩვენ. მეტი წილი თათრულად ლაპარაკობდნენ., მაგრამ ჩქარ, მალედვე შევეჩვიეთ. მალედვე, ორ-სამ წელში, არაფერი დიდი სხვაობა არ იყო. თითქმის ჩვენი წესი ერთმანეთს ემთხვეოდა“... *(მ.ბერიძე, „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“, გვ.,330-334)*. მთიულების გადმოსახლების საინტერესო ეპიზოდი, ერთი შემთხვევის წყალობით, შესანიშნავი ლექსით აღუწერია **მოსე ბექაურის ძმას**. ურემზე დატვირთული ბარგით გუდამაყრიდან ფასანაურისკენ, თანასოფლელ თედოს ურმით უნდა გამომგზავრებულიყვნენ: **„ჩემი ძმა კანტორაში მიბრუნებულა და უთქვია:**

– ძია თედოო, დამელოდეო. არ დაელოდა ეს თედო. წამოსულა და იქ, დიდებათ ხევში გადავარდნილა“...

„რა ამბავია გამსისა,
რა ცოდვა ბრალი დგებაო,
ამბობენ გუდამაყარსა
ახალ ამბავი ხდებაო.
ვის გინდათ თქვენის ნებითა
აქედან გასახლებაო?
ეს რო სოფელში გაიგეს,
სოფელი ფეხზე დგებაო.
გავხედავ თითოულასა
სიაში ეწერებაო,
ჭალაში მარხილებითა
ხალხი ბარგს ეზიდებაო.
თედუა თავის ურმითა
ყველას წინ გაუძღვებაო.
მარტოკაც კარგად
იმგზავრებს.
რათ უნდა დახმარებაო.
დიდებათ ხევში რო გავა,
ალბათ იქ გაჭირდებაო,
თედუა თავის ურმითა
გზის ძირში გადვარდებაო.
გავხედავ ყველიან ქოთანს
ერთ დიდ ქვას დაეხლებაო,
რაც შიგ ყველები რამ იყო,
სულ თლიან დაიშლებაო.
სულ შენ მიყავი თედუავ,
ხმელა ჭადაზე გდებაო
ხმელაი ჭადიც მამწყინდა
გულიც იმიტომ მწყდებაო“...
(მ.ბერიძე, იქვე. გვ.,332-333)

იდუმალაში ჩამოსახლების შემდგომ მთიულებმა ააგეს ამაღლების ნიში, – ლომისას ნიში. ლომისობა მათი ერთ-ერთი მთავარი რელიგიური დღესასწაულია. ლომისობას სოფლის უხუცესები ასრულებდნენ ტრადიციულ რიტუალს. **„ხარს შესწირავდნენ ლომისის ხატს, დეკანოზს ევალებოდა ეს საქმე, საკლავს ჯერ დაამწყალობლებდნენ (შესაწირავს დალოცავდნენ) ერთ ჭიქა არაყს წააქცევდნენ, ხავიწის ქადას მიირთმევდნენ, ზარებს დაარისხებდნენ (დარეკავდნენ). საკლავს მზის ამოსვლამდე დაკლავდნენ“.**

მთხრობელთა სია:
ნათელა პავლეს ასული წიკლაური, 64 წლის
მარინე დავითის ასული ჯიქური, 63 წლის
ელგუჯა თათეოზის ძე მჭედლიშვილი, 63 წლის

ხელმწიფის ჯოიშვილი

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთ ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. დაინიშნა ეს ვაჟიშვილი და ითხოვა მეორე სახელმწიფოს მეფის ასული. გადაიხადა თუ არა ქორწილი, მაშინვე განუცხადა ცოლს: შენ ჩემს საქმეში არ ჩაერევი და თუ ეს გაბედე, იმ დღიდან გაგეყრებიო.

– კარგიო, – უთხრა ქალმა.

გავიდა რამდენიმე წელი. ერთ დღესაც, ერთი მოხუცი გლეხი მივიდა ხელმწიფესთან და ხელმწიფე შინ არ დახვდა. დედოფალი შეეკითხა: – რაშია საქმე, ხელმწიფესთან რა საქმე გქონდაო.

– მიწის ნაკვეთი მინდა და ამაზე მინდოდა მისი ნახვაო.

– კი, მაგრამ, შენ სოფელს თავკაცი არა ჰყავს, იმასთან რომ მისულიყავიო? – შეიცხადა დედოფალმა.

– კი, როგორ არ ჰყავს, – უთხრა გლეხმა.

– მერე აქ რატომ მოხვედი, ამ საქმეზე მასთან უნდა მისულიყავი და ის მოგცემდა მიწას, თუ არ მოგცემდა, მაშინ მოხვიდოდი ხელმწიფესთანო.

ადგა გლეხი და წავიდა.

თავის სოფელს რომ მიუახლოვდა, ხელმწიფე შემოხვდა გზაზე, რომელსაც სოფლები შემოევლო და სასახლეში ბრუნდებოდა.

– გამარჯობა, მოხუცო! – მიესალმა ხელმწიფე.

– გაგიმარჯოს, შვილოო! – უთხრა გლეხმა.

– სად იყავი და სად მიდიხარო, – შეეკითხა ხელმწიფე.

– სად ვიყავი და ხელმწიფესთან, მაგრამ, იმის დედა ვატირე, სახლში არ დამხვდაო.

ხელმწიფეს გაეცინა, გლეხმა ხელმწიფეზე რომ შეიგინა. გლეხმა რა იცოდა, რომ ის თვითონ ხელმწიფე იყო.

– კი მაგრამ, რა საქმე გქონდა ხელმწიფესთანო?

– მიწის ნაკვეთი მინდა, სახლი უნდა ავაშენოო!

– კი მაგრამ, სოფელს თავკაცი არ ჰყავს, იმასთან რომ მისულიყავიო?

– კიო! – უთხრა გლეხმა.

– აბა, ხელმწიფესთან რომ მიდიოდი, ხელმწიფე საიდან მოგცემდა მიწას, მიდი სოფლის თავკაცთან, თუ იმან არ მოგცა, მერე მიდი ხელმწიფესთანო.

– ხელმწიფის ცოლმაც აგრე მითხრა, – თქვა გლეხმა.

– ყველაფერი გასაგებია, – ჩაილაპარაკა ხელმწიფემ და სასახლისკენ დეზი ჰკრა თავის ცხენს.

მივიდა თუ არა სასახლეში, ვითომ არაფერი იცოდა, ცოლს შეეკითხა: ჩემს აქ არყოფნაში ხომ არავინ მიკითხაო?

– არაო, – უპასუხა დედოფალმა.

– რატომ მატყუებო! – გაბრაზდა ხელმწიფე. აქ ხომ ერთი მოხუცი გლეხი იყოო. და, ყველაფერი მოუყვა, რაც გლეხმა უთხრა.

– ახლა, ადექი და წადი ჩემი სასახლიდანო! – შეუყვირა ხელმწიფემ დედოფალს.

– ახლა ძალიან ღამეა და ხვალ დილით წავალო, – შეეხვეწა დედოფალი.

ხელმწიფე დიდი ხვეწნის შემდეგ დათანხმდა.

მეორე დღეს, დილაადრიან, ადგა და წავიდა დედოფალი სასახლიდან. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ უდაბურ ტყეში დაუღამდა. რა ქნას, არ იცის. ხის ძირას დაიძინოს, ეშინია, მხეცებმა არ შეჭამონ, ხეზე ავიდეს, დაეძინება და ჩამოვარდება. ბოლოს, მაინც, ხეზე ასვლა გადაწყვიტა, ყეჯელაზე ჩამოჯდა და დაება. ქვემოთ, ხის ძირას, წყაროა და პატარა გუბე. დედოფალი რომ ჩაიხედავს, თავისი სახე ჩანს.

დილით, ერთმა ხელმწიფის ვაჟმა გამოიარა. მივიდა წყაროსთან, რომ ცხენს წყალი დაალევინოს, მაგრამ ცხენი არ ეკარება წყალს, ფრთხება და უკან-უკან იწევს. ხელმწიფის შვილმა იფიქრა, ყოველდღე მოვდივარ აქ, ცხენს წყალს ვალევინებ და არ ფრთხება, ახლა რა მოუვიდა, წყალს რატომ უფრთხისო. ცხენიდან ჩამოვიდა. გუბეში ხედავს, ქალის სურათია. თქვა, ასეთი ლამაზი ქალი თუ იქნებოდა ქვეყანაზე, არ მეგონაო და გადაწყვიტა ამ სურათის წყლიდან ამოღება. ჩაყო წყალში ხელი და სურათი აღარაა. აიხედა მაღლა ხეზი და, ხედავს, ულამაზესი ქალი ზის.

– გოგო, გოგო, ჩამოდი მაგ ხიდან, რამ აგიყვანა მაგ სიმაღლეზეო.

ჩამოვიდა ხიდან დედოფალი.

ახლა ხელმწიფის ვაჟი ეკითხება, საიდან ხარ, ან რატომ ახვედი ამ ხეზეო?

დედოფალმა ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა ხელმწიფის ვაჟს.

ხელმწიფის ვაჟმა უთხრა: მომეწონე და ცოლად გამომყევი, მეც ხელმწიფის შვილი ვარო?

– კიო, – დასთანხმდა დედოფალი. – ნუ ვიქნები იმ ხელმწიფის ცოლი და ვიქნები შენი ცოლიო.

– მოდი, შემომიჯექი ცხენზეო, – უთხრა ხელმწიფის ვაჟმა.

– როგორ გეკადრება, უფლისწულო, – გაიკვირვა დედოფალმა. ორივენი ხელმწიფის შვილები ვართ. ასე ხომ არ მივალთ შენს სახელმწიფოში. წადი შენს სასახლეში, შენი ხალხი მოიყვანე, რომ, როგორც წესი და რიგია, ისე ვიქორწინოთო.

ხელმწიფის ვაჟს გაუხარდა. თავისი ცხენი დატოვა ადგილზე და თვითონ წავიდა, რომ თავისი ხალხი მოიყვანოს და ეს ქალი წაიყვანოს.

ვაჟი ცოტა რომ გასცდა იქაურობას, დედოფალი შეჯდა ცხენზე და სხვა მიმართულებით გაუდგა გზას.

გავიდა რამდენიმე საათი და ხელმწიფის ვაჟი, მხლებლებთან ერთად, დაბრუნდა ქალის წასაყვანად, მაგრამ, რას ხედავს: არც ქალია და არც თავისი ცხენი.

აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ქალის ასავალ-დასავალს ვერსად ვერ მიაგნო. რაღას იზამდა, ადგა და ცარიელ-ტარიელი, შერცხვენილი დაბრუნდა სასახლეში.

დედოფალმა იარა, იარა და ზღვის სანაპიროს მიაღწია. ხედავს, გემია ჩამომდგარი. მივიდა ამ გემთან და ავიდა. ამ გემზე ერთი მოხუცი კაცი დახვდა. ადგა დედოფალი, ამ მოხუცს ერთი მუჭი ოქრო მისცა და უთხრა: დაგიტოვებ ამ ცხენს, მოუარე და მანამდე მე არ დავბრუნდები, შენთან იყოსო.

– კარგიო, – დასთანხმდა მოხუცი.

ცოტა ხანში გემი ბაქანს გასცდა თუ არა, ქალი მივიდა და გემის კაპიტანს მიუჯდა გვერდში. აინტერესებდა, როგორ მართავდა იგი ამ გემს. გემის კაპიტანი დედოფლის ვინაობით დაინტერესდა. მანაც თავის შესახებ ყველაფერი უამბო.

გემის კაპიტანი ახალგაზრდა, უცოლო მამაკაცი იყო. მოეწონა დედოფალი. ბევრი იცურა გემმა და ბოლოს მიაღწია გემის კაპიტნის ქვეყანას. კაპიტანმა ღუზა ჩაუშვა და ქალს უთხრა: მომეწონე და ცოლად უნდა წაგიყვანოო.

– კიო, – დასთანხმდა დედოფალი.

გემის კაპიტანი გადმოვიდა გემიდან, ჩამოიყვანა ეს ქალიც და უთხრა: ახლა ჩემს სახლში წავიდეთო.

– არაო, – უთხრა დედოფალმა. მე ხელმწიფის შვილი ვარ და ასე სახლში ვერ გამოგყვები. წადი, ნახე შენი ხალხი, ახლობლები და, როგორც წესია, ისე წამიყვანე შენს სახლშიო.

გემის კაპიტანსაც მოეწონა ეს აზრი და წავიდა თავის სახლში, ხალხის მოსაყვანად.

ახლა ქალმაც დრო იხელთა და ჩაჯდა გემში, აუშვა ღუზა და გეზი თავისი ქვეყნისკენ აიღო. გემის მართვა იმ ყურებაში უსწავლია. იცურა, იცურა გემმა და მოსაღამოვდა კიდეც. ბოლოს, ერთ ბულვართან ახლოს, შეჩერდა. დაწვა და დაიძინა. დილით გამოვიდა გემბანზე და, ხედავს, ბულვარიდან გოგონების ხმა ისმის. ერთი ხელმწიფის ქალიშვილი გათხოვილა, მეორე დღეს ქორწილი აქვს და ამ ბულვარში წამოსულან სასეირნოდ. გადმოიხედა და დაინახა ორმოცი გოგო. ერთ-ერთი იმათგანი გაიქცა და მივიდა მეფის ქალიშვილთან და მოახსენა, გემის კაპიტანი ქალია და სთხოვე, გაგვასეირნოს ზღვაზეო. ხელმწიფის ქალიშვილი მივიდა დედოფალთან და სთხოვა, თავის გოგოებთან ერთად გაესეირნებინათ ზღვაზე.

– კიო, – დასთანხმდა დედოფალი.

ბულვარში მეფის ქალიშვილმა მხოლოდ ერთი მოახლე გოგო დატოვა, რომ მათთვის სადილი მოემზადებიდა და სასეირნოდ შეცურეს ზღვაში.

ბევრი იცურეს თუ ცოტა, დიდი მანძილი რომ გაცურეს, მეფის ასულმა სთხოვა დედოფალს (გემის კაპიტანს), მოებრუნებინა გემი და ბულვარში დაბრუნებულიყვნენ.

– რაო? – გაუბრაზდა დედოფალი ხელმწიფის ასულს და უთხრა: ფეხი არ მოიცვალოთ აქედან. მეფის ასულმაც და მოხელეებმაც წივილ-კივილი მორთეს, მაგრამ, რაღას იზამდნენ. დედოფალმა გზა განაგრძო. იცურეს, იცურეს და ერთი უღრანი ტყის სანაპიროსთან შემოაღამდათ. გააჩერა გემი, ღუზა ჩაუშვა და გადაწყვიტეს ამ ადგილზე ღამის გათენება.

გავიდა ცოტა ხანი და ხედავენ, ვედროებით ერთი კაცი მოადგა ზღვის ნაპირს. გადაიხედა და დაინახა გემზე 40 გოგონაა და თავისთვის გაიფიქრა: ჩვენც ორმოცნი ვართ. თურმე, ეს კაცი ყაჩაღი ყოფილა, გაიქცა ყაჩაღების მეთაურთან და ყველაფერი მოახსენა დაწვრილებით, რაც ზღვის ნაპირზე ნახა. გახარებული ყაჩაღები გემისკენ გაიქცნენ და ეს ქალები ძალისძალათ ტყეში წაიყვანეს. ყაჩაღების მეთაური დედოფალს (გემის კაპიტანს) დაეპატრონა, დანარჩენებმაც დაითითოეს ეს გოგონები. დედოფალმა უთხრა ყაჩაღების მეთაურს: დაგნებდებით, მაგრამ, ერთი სათხოვარი გვაქვს. თქვენ ხომ ხართ ყაჩაღები, ჩვენ უმწეო ქალები, ახლა ყველას გვშია და, იქნებ, რამე გვაჭამოთო.

ყაჩაღების მეთაურმა დიდებული სუფრა გააშლევინა. ვიდრე ქეიფს დაიწყებდნენ, დედოფალმა უთხრა მეთაურს, თამადა მე ვიქნები, თანაც, რასაც მე ვიტყვი, ის სადღეგრძელო ყველამ უნდა დავლიოთო.

პირველი სადღეგრძელო შეხვედრის სადღეგრძელო თქვა. თამადამ გოგონებს თვალით ანიშნა, რომ ეს სადღეგრძელო ყველას ბოლომდე შეესვა.

მეორე სადღეგრძელო მათი დაწყვილების სადღეგრძელო თქვა. ყაჩაღებმა სიხარულისაგან აღარ იციან, რა ჰქნან, – გოგონები კი გულისმოსაკლავად ტირიან.

თამადამ თქვა სადღეგრძელო, აიღო თავისი სასმისი და ყაჩაღების მეთაურს გადაადგა. ანალოგიურად მოიქცნენ სხვა გოგონებიც და თავიანთ პარტნიორებს გადააწოდეს სასმისები. ერთ სადღეგრძელოს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ყველა სადღეგრძელოს შემდეგ, ქალები სავსე სასმისებს ყაჩაღებს აწვდიდენ.

ეს ყაჩაღები ისე გამოთვრნენ, რომ ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ. ბოლოს, ყველამ მიიძინა. თამადამ ახლა ბრძანება გასცა, რომ თავიანთი მეწყვილე ყაჩაღებისთვის გაეხადათ ტანსაცმელი. ამასობაში გათენდა კიდეც. აკრიფეს გოგონებმა ყაჩაღების ტანსაცმელი, მათი იარაღი, ჩასხდნენ გემში და დედოფალმა გეზი მამის სახელმწიფოსაკენ აიღო.

ყაჩაღებს დილით ადრე გამოეღვიძათ და, რას ხედავენ, ყველანი შიშვლები არიან, აღარც მათი იარაღია და აღარც გოგონები ჩანან. იღრიალეს, მაგრამ, რაღას იზამდნენ. ყაჩაღები ჩვენ კი არა, ეს გოგონები ყოფილანო, – სიბრაზისაგან ცეცხლს ყრიდნენ.

გემმა იცურა, იცურა და მივიდა დანიშნულების ადგილზე – მამის სამფლობელოში.

დედოფალმა ბრძანა, რომ ყველას უნდა გაეხადა თავიანთი ტანისამოსი და ყაჩაღებისა ჩაეცვათ, რათა არავის გაეგო, რომ ისინი ქალები იყვნენ. ასე მივიდნენ დედოფლის მამის სასახლესთან. ხელმწიფემ ვერ იცნო თავისი ქალიშვილი. მან კი სთხოვა მამას, რაიმე სამუშაო მოგვეცი, თქვენგან გასამსჯელო არ გვინდა, მხოლოდ დღეში სამჯერ გვაჭამეთ, წყაროსთან კი ორი კაცი დააყენეთ, ვინც უცხო ვინმე გამოჩნდება და ერთ ქალს იკითხავს, დაიჭირეთ და საპყრობილეში ჩასვითო.

– საქმეს რა გამოლევს ჩემს სამფლობელოში, – თქვა ხელმწიფემ და მინდვრის სამუშაოები შესთავაზა მათ.

ადრიანად წავიდნენ გოგონები სამუშაოდ. დედოფალმა თავისი სურათი სოფლის ცენტრში, წყაროსთან გამოაკრა ჩუმად. საღამომდე იმუშავეს. მოთიბეს, დააფოცხეს, დაზვინეს თივა და სასახლეში დაბრუნდნენ. დედოფალი მივიდა მცველებთან და უთხრა: ახალგაზრდა ქალი ხომ არავინ იკითხაო?

– როგორ არა, ერთი უცხო მამაკაცი მოვიდაო.

– რა ჰქენით, ის კაცი სად არის ახლაო?

– დავიჭირეთ და სატუსაღოში ჩავსვითო.

დედოფალი მივიდა სატუსაღოში და ნახა, რომ თავისი ქმარია. მას უფიქრია, – მე კი გავაგდე ჩემი ცოლი, მან არც გზა იცის, არც კვალი, რა ჰქნა, სად წავიდა, მივიდა თუ არა მამამისთანო და მის მოსაძებნად წამოსულა, თურმე.

დედოფალი ისევ მივიდა დაცვასთან და გააფრთილა, ამ კაცს ჭამა-სმა არ მოაკლოთო.

მეორე დღეს ისევ ადრიანად ადგნენ გოგოები და სამუშაოდ წავიდნენ. საღამომდე იმუშავეს და ისევ სავახშმოს დაბრუნდნენ სასახლეში. დედოფალმა ისევ იკითხა, ხომ არავინ იკითხა ახალგაზრდა ქალიო?

– როგორ არა, ერთი კაცი მოვიდა, წყაროსთან წყალი დალია, იქვე ვიღაც ქალის სურათი ნახა, დაუხედავს და უთქვამს, ეს ქალი აქ მოსულა და ჩემი ცხენი სად წაიყვანაო.

– სადაა ახლა ის კაცი? – იკითხა დედოფალმა.

– წავიყვანეთ და, როგორც ხელმწიფემ გვიბრძანა, სატუსაღოში ჩავსვითო.

– მივიდა დედოფალი სატუსაღოში, ნახა რომ ცხენის პატრონია.

მცველები გააფრთხილა: ამ კაცს მიხედეთ, საჭმელ-სასმელი არ მოაკლოთო.

რომ გათენდა, თავის გოგონებთან ერთად, კიდევ წავიდა დედოფალი მინდორში სამუშაოდ. წინასწარ კი, სოფლის ცენტრში, წყაროსთან მივიდა და იმ მეფის ქალიშვილის სურათი გამოაკრა, ვისი ქორწილიც უნდა ყოფილიყო.

იცოდა, რომ სასიძო მის საძებნელად აუცილებლად წამოვიდოდა.

საღამოთი რომ დაბრუნდნენ სამუშაოდან ქალები, ისევ მცველებთან მივიდა დედოფალი ამბის მოსაკითხად.

– ერთი უცხო კაცი დავაკავეთ წყაროსთან და სატუსაღოში გვყავსო, – უმალ, კითხვის გარეშე მიუგეს მცველებმა.

მეოთხე დღეს ისევ ადრიანად ადგნენ გოგონები და სამუშაოზე წავიდნენ. დედოფალმა იცის, რომ ახლა, აუცილებლად, გემის კაპიტანი მოვა, ამიტომ ჩამოხსნა მეორე სახელმწიფოს ხელმწიფის ასულის სურათი და ისევ თავისი სურათი გამოაკრა წყაროზე.

ამ წყაროსთან, როგორც დედოფალი ფიქრობდა, მართლაც მოვიდა გემის კაპიტანი და გახარებია, იმ ქალს მივაკვლიეო. მაგრამ, მცველებმა ისიც დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს.

საღამო ხანს სამუშაოდან დაბრუნებული დედოფალი ისევ მივიდა მცველებთან და გაიგო, რომ გემის კაპიტანიც ჩაუსვამთ საპყრობილეში.

– ჭამა-სმა არ მოაკლოთო, – დაავალა მცველებს დედოფალმა.

მეხუთე დღეს კვლავ წაიყვანა სამუშაოზე გოგონები დედოფალმა. ისევ გამოაკრა თავისი სურათი წყაროზე. იცის, რომ ყაჩაღები მას ძებნას დაუწყებენ და ბოლოს მაინც აქ მოვლენ.

საღამოთი სამუშაოდან რომ დაბრუნდნენ, დედოფალმა გაიგო, რომ ეს ყაჩაღები მართლა მოსულან და ისინიც დაუჭერიათ მცველებს. მეფის ქალიშვილი ახლა კი მივიდა მამასთან და უთხრა: რაც დაგვავალე, ყველა სამუშო შევასრულეთ, ახლა თხოვნა გვაქვს, ხვალ დილით თქვენ იქნებით მოსამართლე, მე კი პროკურორიო.

ყველა, ვინც კი დაპატიმრებული ყავდათ, ეს ამბავი ხელმწიფემ არ იცის. ეს ამბავი მარტო დაცვამ იცის.

დილით ისაუზმეს და დაიწყო სასამართლო.

– დიდო ხელმწიფეო, ჯერ თქვენგან დავიწყოთ, – თქვა ამ ხელმწიფის ქალიშვილმა. რამდენი წელია, რაც ქალიშვილი გაათხოვეთ?

– ორი წელიაო, – თქვა ხელმწიფემ.

– მერე, ამ ორი წლის განმავლობაში, ნუთუ არ დაგაინტერესა, თქვენი ქალიშვილი როგორ არისო? მე, როგორც პროკურორი, ვითხოვ, რომ შენ მოგესაჯოს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რადგან სულ არ დაინტერესებულხარ შენი შვილის ბედითო. ის თავის მეუღლეს გაუგდია სასახლიდან, შენმა სიძემაც კი არ იცის, ახლა სადაა მისი მეუღლეო.

– შემოიყვანეთ ხელმწიფის სიძეო, – ისევ გასცა ბრძანება „პროკურორმა“.

შემოიყვანეს ხელმწიფის სიძე და სიმამრმა მაშინვე იცნო. გაბრაზებული „მოსამართლე“ მივიდა მასთან და კატეგორიულად მოსთხოვა, თუ სად იმყოფებოდა ამჟამად მისი ქალიშვილი.

შეშინებულმა სიძემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო სასამართლოს, რაც მოხდა და ისიც მოახსენა, რომ ცოლის საძებნელად იყო წამოსული და წყაროზე უნახავს მისი სურათი.

განრისხებულმა მოსამართლემ (ხელმწიფემ) კიდევ უფრო შეუტია სიძეს. „პროკურორმა“ შე-

აჩერა ხელმწიფე (მამა) და მოითხოვა მეორე პატიმრის შემოყვანა.

„მოსამართლე“ ეკითხება მას, ვინ იყო და როგორ მოხვდა იგი აქ.

იმ ვაჟმაც მოახსენა სასამართლოს, რომ ხელმწიფის ვაჟი იყო და წყაროსთან ხეზე უნახავს ერთი ქალი, ძალიან მოსწონებია და გადაუწყვეტია მისი ცოლად მოყვანა და დაწვრილებით მოახსენა სასამართლოს რაც გადახდა თავს.

„პროკურორმა“ ხელმწიფის ვაჟი დაამშვიდა და უთხრა, მოითმინე ცოტა ხანს და შენს ცხენს დაგიბრუნებენო. და ისევ გასცა ბრძანება, შემოეყვანათ მესამე პატიმარი.

ახლა სასამართლოს წინაშე წარსდგა გემის კაპიტანი.

– შენ რაღას ეძებო, – შეეკითხა „მოსამართლე“.

–გემის კაპიტანმაც მოყვა ყველაფერს, რაც გადახდა თავს.

„პროკურორმა“ ახლა გემის კაპიტანი დაამშვიდა: ნუ ნერვიულობ, შენს გემს დაგიბრუნებენო.

ახლა მეოთხე პატიმარი შემოიყვანეს. ეს ის პატიმარია, მეორე დღეს ქორწილი რომ უნდა ჰქონოდა და ხელმწიფის ასული შეერთო ცოლად.

სასამართლოზე ხელმწიფის ვაჟმაც თავის გასაჭირზე ისაუბრა, თუ როგორ დაეკარგა ბულვართან თავისი საცოლე მოსამსახურე გოგონებთან ერთად.

– ნუ გეშინია, – დაამშვიდა „პროკურორმა“. შენი საცოლეც მალე გამოჩნდებაო.

ახლა სასამართლოზე ორმოცი ყაჩაღი წარსდგა.

– თქვენ რაღას დაეხეტებით ჩემს სამფლობელოშიო?! – განრისხდა მოსამართლე (ხელმწიფე).

ახლა ყაჩაღების მეთაური წარსდგა სასამართლოს წინაშე და დაწვრილებით მოუყვა, თუ რა გადახდათ თავს მას და მის მეგობრებს უღრან ტყეში.

– კარგიო, – თქვა პროკურორმა. თქვენ ყველას დაგიბრუნებენ თქვენს ტანსაცმელს და იარაღს.

ბოლოს „პროკურორი“ მიუბრუნდა „მოსამართლეს“ და უთხრა: ვიდრე თქვენ განაჩენს გამოიტანდეთ, მანამდე ჩვენ ყველანი“ ორმოცივე კაცი, შევალთ სათათბირო ოთახშიო.

გავიდნენ ისინი სათათბირო ოთახში, გამოიცვალეს ტანსაცმელი, თავიანთი ჩაიცვეს და სასამართლოს დარბაზში გამოვიდნენ.

ცხენის პატრონმა მაშინვე იცნო ის ქალი, გემის კაპიტანმაც გაიხარა – გემს დამიბრუნებსო. დედოფალმა გემის კაპიტანს უთხრა: ახლა წაგვიყვან და ჯერ იქ ჩამოგვსვამ, საიდანაც ეს გოგონები წამოვიყვანეო. მივიდნენ უღრან ტყესთან, ჩამოსვეს ორმოცი ყაჩაღი და გააფრთილა, ამის შემდეგ იცოდეთ, ყაჩაღები თქვენ კი არა, ჩვენ ვართ და მეორედ ქალებზე აღარ იფიქროთო.

ახლა გემით ბულვარს მიადგნენ. 39-ვე გოგო გადმოსხა ხელმწიფის ვაჟთან ერთად და უთხრა: წადით და მეორედ აღარ მოინდომოთ ზღვაზე სეირნობაო.

მივიდნენ გემის კაპიტნის ქვეყანაში, გადმოვიდა თავის ქმართან (ხელმწიფესთან) ერთად გემიდან, გამოემშვიდობა გემის კაპიტანს და უთხრა: ხელმწიფის ქალიშვილი მეორედ არ გათხოვდებაო. ახლა ისინი მივიდნენ იმ მოხუც გლეხთან, ვისაც ცხენი ჩააბარა, მისცა კიდევ ერთი მუჭი ოქრო და სთხოვა, ცხენი გამომიყვანეო.

წამოვიდნენ ცხენის პატრონი, ხელმწიფის ქალიშვილი და მეფე. მეფის ქალიშვილი ცხენზე შეჯდა და ისე გამოსწიეს გზაზე. იარეს, იარეს და მოვიდნენ წყაროსთან, საიდანაც იმ მეფის ვაჟმა გამოართვა ცხენი და უთხრა: მეორედ ხელმწიფის გათხოვილი შვილის თხოვებაზე აღარ იფიქროო.

მოკიდა ქმარს ხელი ხელმწიფის ქალიშვილმა და დაბრუნდნენ მეფის სასახლეში.

სასახლეში რომ მივიდნენ, მეფის ასულმა ახლა შეუტია მეუღლეს (ხელმწიფეს):

ხომ თავად დარწმუნდი, სასახლიდან რომ გამაგდე, გზაში რამდენი მთხოვნელი გამომიჩნდა, შენ კი ერთი სიტყვის გამო მომკიდე ხელი და სასახლიდან გამაძევეო.

ხელმწიფემ დიდი ბოდიშები მოუხადა დედოფალს და იმის შემდეგ არცერთი საწყენი სიტყვა აღარ უთქვამს მისთვის.

მთქმელი ვახტანგ ხმალაძე, 78 წლის, სოფელი ტოლოში, ასპინძის რაიონი.

ჩაიწერა ავთანდილ გერიძემ 2013 წელს

ჭოეზიის ზეიმი ჯავარეთში

„ო, ნუთუ ბოლო პოეტი მე ვარ„! – გულამაჩუყებლად ჟღერს 1913 წელს დაწერილი პოეტის ეს სიტყვები. ალბათ, ვაჰან ტერიანის პოეზიის ყველა თაყვანისმცემელმა ზეპირად იცის ეს ლექსი, რომელიც მთლიანად გამოხატავს შემოქმედის სახეს, მისი შემოქმედების მთავარ არსს. თავის ქვეყანაზე სულით-ხორცამდე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი ხომ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა მრავალი წელი, საუკუნე და მისი სახელის უკვდავსაყოფად, განძანში, სადაც დაიბადა, გაიზარდა, თავისი ცხოვრების მრავალი წელი ტანჯვა-წამებასა და სიდუხჭირეში გაატარა, მადლიერი მისი შთამომავლები მისი სახელით იამაყებდნენ, მისი პოეზიით დაიოკებდნენ სულს და სათაყვანებელ შვილს მართლაც განუსაზღვრელ პატივს მიაგებდნენ, მისი ხსოვნის დღე – მათ უპირველეს ზეიმად იქცეოდა მადლიან ჯავახურ მიწაზე.

პოეტები სიკვდილის შემდეგ იბადებიან, იზრდებიან და, რაც დრო გადის, სახელსაც მეტს იხვეჭენ, თაობებს ასაზრდოებენ, კვებავენ თავიანთი სიბრძნის სიუხვით, მათი ნააზრევით სულდგმულობენ და სულიერების საგანძურსაც იმდიდრებენ,

დიდი წინაპრის დაფასება, მოგონება, ერის კულტურის, ზნეობის, მორალის, აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელი ბარომეტრია. ეს კარგად იციან ჩვენმა სომეხმა მეზობლებმა, კარგად იციან და, არა მოჩვენებით, არა სხვის თვალის დასანახად, არამედ თავიანთი მომავალი თაობებისთვის აკეთებენ ამას.

ტერიანობის სახალხო დღესასწაულზე, რომელიც ტრადიციულად, ყოველწლიურად აღინიშნება, ახლახან ორმოცდამეცხრედ შეიკრიბნენ მისი ნიჭის თაყვანისმცემლები. ზღვა ხალხმა მოიყარა თავი თითქმის ყველა მხრიდან, სადაც კი სომხური დიასპორაა და ღირსეული პატივიც მიაგეს თავიანთ სათაყვანებელ შვილს, რომელსაც ახლახან, 130-ე საიუბილეო წელი შეუსრულდა.

ტრადიციულად ღონისძიებას უძღვებოდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი, შესანიშნავი პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი **ჟორა სნრხჩიანი**.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: სომხეთის ეროვნული კრების ვიცე-სპიკერი **ჰერმინე ნაღდალიანი**, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი**, სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **ედუარდ მილიტონიანი**, ცნობილი ჟურნალისტი, პოეტი და მთარგმნელი **ვლადიმერ სარიშვილი**, ერევნის ვაჰან ტერიანის სახელობის კულტურის ცენტრის თავმჯდომარე **არუშან ჰაკობიანი**, სომხეთის კულტურის მინისტრის მოადგილე **ნერსეს ტერ-ვარდანიანი**, პოეტი **ლუკას სირუნიანი**, ცნობილი თბილისელი პოეტი და მთარგმნელი **გივი შახნაზარი**, ადგილობრივი პოეტი **ნაზელი ნაირი**.

ღონისძიებაზე ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივების მიერ წარმოდგენილი იქნა მხატვრული პროგრამა, ასევე მონვეული ჰყავდათ ასპინძის კულტურის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი **თამაზ მელიქიძე**, რომელმაც შეასრულა ცნობილ ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები.

ავთანდილ მესხი

ვაჰან ტერიანი

***

ო, ნუთუ ბოლო პოეტი მე ვარ? –
ჩემი სამშობლოს ბოლო მგოსანი!
ნაირო ჩემო, კვდომამ თუ თვლემამ
დაამხო შენი სვე სხივოსანი?!
მოღრუბლულ ყარიბს, ვოცნებობ როცა,
ნათელო, შენი შუქი მებურვის
და მეყურება: ვითარცა ლოცვა
ჟღერს ენა შენი, ენა მეფური!
მიწად – ღრმად მჟღერი!..
ცად – ნათლის სვეტი!..
ხან რომ ღვინდება, ხან რომ მაჭრდება...
კოკრად რომ სკდება, ვარდია ნეტავ
თუ გაგიხსენა ძველმა ნაჭრევმა?!
გაოგნებული ვქცეულვარ ხმევად,
მხარევ, აღთქმულო, ნათლით გვმოსავდე!
– ო, ნუთუ ბოლო პოეტი მე ვარ,
ჩემი სამშობლოს ბოლო მგოსანი?!

ზაფხული, 1913

***

დაუსაბამო ჩემი გზებით, უღმერთოდ
დაღლილს,
ჩამეძინება ნათელ ველზე, – უძილოს
დიდხანს –
დასცდება გულს და აღმოხდება
ბგერები მაღლით: –
მეჩვენა, თითქოს სევდიანი მიხმობდა
ვიღაც...
გამომაღვიძა სიხარულის ტკივილმა
მწველმა,
ტიროდა ველზე ღამის სიო სველი და
გრილი,
ჩამხედა გულში უხალისოდ შორეთმა
ბნელმა,
ლოდივით ჩუმი მარტოობა სუფევდა
ირგვლივ!

დაგვიანებული სიყვარული

ქარბუქი გლოვს, უჩანი
ჯანღია და ... ტიალი,
ასე გაუყუჩარი,
ვისი ხმაა გვიანი?
თითქოსდა ორეულის
ჩრდილად სულს ვინ ედება?..
უცხო და შორეული
გესმათ ჩემი ვედრება: –
დამივიწყოს... გარშემო
ნუ მივლის გზა, ცდუნების
უკვე აღარ არსებობს
უკან დასაბრუნები...
ჩემ საფლავზე გამჩენი
ვის აკვნესებს? .. შორია...
ვის გლოვობს? ვისი მტანჯველი
ხმა შობს თეთრ ქარბორიას?..
საფლავს, აწ რომ არ ახსოვს
კაცთაგანს თუ ღმერთთაგანს,
ვის იხსენებს? ხმა რას ხმობს?..
ვინა ჰგოდებს ერთთავად?..
უცხო ქვეყნის უძირო
ზამთრის ღამე, მარტვილი...
აქ ვინ დაძრწის უძილო?..
ერთთავად ვინ დამტირის?..

ვით არ მიყვარდეს ჩანაურული, სამშობლო ჩემი

კვლავ რომ უშენენ ცეცხლის ისრებს,
მოზიდულს მშვილდით...
ვით არ მიყვარდე, – გატანჯულიც
აღვსილი კდემით, –
შენ, ღვთისმშობელო მარიამო,
დაჭრილი შვიდგზის!
ვინც კი მოგიხტა როსმე სამტროდ,
უძღები სისხლით,
ნებსით გაიღე ყველასათვის,
სამშობლოვ, მსხვერპლი!

შენ იყავ, ჩემო, უცოდველი მოწამე, მიწყივ,
შენივე ჯვარცმის,
ფეხქვეშ ბეკვის, ღველფის და ფერფლის.
შენ სული შენი , – საკმეველი როგორც
ღადარზე, –
სამყაროს რარიგ ხელგაშლილის
მადლით მიართვი:

როგორ დანებდი, მორჩილებით ფიცს და
სატანჯველს,
ასე მეფური თავმოდრეკით და სიდიადით...
ჟამია აღსდექ, კვლავ ნათელო ნათელზე
ასწილ,
აისხი აბჯრად მხოლოდ ჩანგი, მხოლოდ
სანთური
და მშობიარის ტანჯვის მრუშე ღამეში
დასწვი
ეგ ნაირული სული – ცეცხლით
გადანათლული.

თარგმნა გივი შახნაზარმა

„მიეცი ნიჭსა გზა თვარ-თო“!

ვერე

ბნელმა მოიცვა ნათელი ნელა,
ცოდვის მორევში ჩაცვივდა ყველა.
ზეცა განრისხდა, გაბრაზდა ხალხზე
და გადიარა თბილისის თავზე.

ღრუბლები ზლაზვნით გადაწვნენ ცაზე
და მოუხშირა ხალხს წვიმა თავზე.
ამ დროს გამხეცდა, გაშმაგდა ვერე
და ყველამ იცის, რაც მოხდა მერე.

დაიძრა გრგვინვით მდინარე ვერე,
გადაუარა თბილისის ველებს.
ვერემ შეწყვიტა ღვარცოფი როცა,
რაკი სიცოცხლე მოისრა, ხოცა.

და იცით, მაინც მიზეზი წარღვნის,
რატომ აქცია ნაცარ-მტვრად ხალხი?
რატომ აქცია სინათლე ბინდად
და მოუვლინა ეს წვიმა რისხვად?!

მიზეზი წარღვნის კი იყო ერთი:
რომ შეკრულიყო ერთ მუშტად ერი
და გაეფანტა მწუხრი და ბნელი,
ყველას ერწმუნა მაღალი ღმერთი!

აღარ ღირს, რომ ვთქვა იმაზე მეტი,
მაინც თარსია რიცხვი ცამეტი!

ცირა ღორჯოველაძე,
ასპინძა, ივერიის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

არ შეგაშინოს სიკვდილმა

(ხალხურ მოტივებზე)

მთით მოგრიალებს არაგვი, ძირს უთხრის სალსა კლდეებსა,
თავს დასდგომია ხარ-ჯიხვი, მიარღვევს მთისა ჭდეებსა,
გამოჰქცევია ხევსურეთს, ვაჟკაცებს, ვითარც დევებსა,
მთით გაჰკიოდა საბრალო, წითლად ღებავდა ხევებსა.

ზედ დასჭყიოდა არწივი, ვაჟკაცთ გულების მკვნეტელი,
ჯიხვების თავზე მდგომელი, მუდამ ზეცაში მყოფელი.
ქედს უწუნებდა ხარ-ჯიხვსა, დაუდგრომ-დაუნდობელი,
თავს შეუნახავს, გაიტანს, სალი კლდე, მისი მშობელი.

– არ შეუშინდე, სიკვდილსა, ქედს ნუ მოუხრი ნურავის,
დამფრთხალი, შეშინებული, ის არც იყო და არც არი.
ყოველთვის ისევ ელიან მთად დანისლული ხევები,
ზეცაში აშოლტილები, ციცაბო, სალი კლდეები.

შავ-თეთრად ჩამონაბდული და მუდამ მხარგაშლილები,
ნადირთა თავშესაფარი, უღრანი შავი ტყეები.
შენაც თუ აღარ იქნები, ვინ გადიაროს კლდეზედა,
ვინ გამოაწრთოს მოისრე, აღზრდილი ვაჟკაცთ წესზედა.

ვინღა დააფრთხოს შურთხები, გაშლილნი ლამაზ ფერდზედა,
ვინ გაუძღვება მომლოცველთ გერგეთის მონასტერზედა.
მთას ნეტამც ნუ მოაკლდები, ნურც ერთი წუთით, წამითა,
იგია შენი სამოთხე, ვერვინ წაგართმევს ძალითა.

არ მოგატყუოს სიკვდილმა, არ მოგეპაროს მალვითა,
გერჩივნოს სალი კლდეები, სიამეს მოგგვრის კარითა.

შოთა იველაშვილი,
ასპინძის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

გინდვეთ ეროვნული დრამატურგიის მორიგ, მე-3 ფესტივალზე

როგორც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, უკანასკნელ წლებში ქ.ახალციხეში დამკვიდრდა თეატრალური ფესტივალების ჩატარება, რასაც მაყურებელთა მხრიდან ერთსულოვანი მოწონება მოჰყვა.

მიმდინარე წლის 7-დან 20 სექტემბრამდე, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას დიდი თეატრალური ზეიმი ელოდება – გაიმართება ეროვნული დრამატურგიის მორიგი – მესამე ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების წამყვანი თეატრალური კოლექტივები, კერძოდ, რუსთაველის, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის, პ.ადამიას სახელობის, მოზარდ მაყურებელთა, მუსკომედიის, თავისუფალი, აგრეთვე, ქალაქების – ფოთის, რუსთავის, ჭიათურის, ქუთაისის, გორის, თელავის და მესხეთის, სულ 14 შემოქმედებითი კოლექტივი, რომლებიც ფესტივალზე წარმოადგენენ თავიანთ საუკეთესო სპექტაკლებს; გაიმართება შეხვედრები აღიარებულ და ახალგაზრდა, დამწყებ მსახიობებთან, რეჟისორებთან, თეატრმცოდნეებთან.

თითოეულ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების ღირებულება 8 ლარია, ხოლო სპეციალურად ფესტივალისთვის დამზადებული აბონემენტების შეძენის შემთხვევაში – 4 ლარი.

ამჟამად დაწყებულია და მიმდინარეობს საფესტივალო აბონიმენტების შეძენა. ყველას, ვინც გადაწყეტს დაესწროს ფესტივალზე წარმოდგენილ სპექტაკლებს, წინ დიდი სულიერი საზრდო და სიამოვნება ელის.

შალვა ტაბატაძე,
მესხეთის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრატორი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

შეგახსენებთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სანაბკო რეკვიზიტებს:
ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი; ბანკის კოდი - 220101451;
ანგარიშისN GE72LB0 113115795007000; ს/კ 223100908.
ს.ს. „თიბისი ბანკი“ საბანკო კოდი TBCBGE 22; ანგარიშის N GE42TB7058036160100001;

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

პეტრეს სარდაფი

ესეც შენი გაბაჩოვო!

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს, საქართველოს განათლების სამინისტრომ პედაგოგთა ერთი ჯგუფი, მიღწეული წარმატებებისთვის, საზაფხულო არდადეგების დროს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, ერთთვიანი საგზურით დაგვაჯილდოვა.

რა თქმა უნდა, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უბრალო საქმე არ იყო, მაშინ, ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა, დამწყები პედაგოგისთვის, – ბევრს ნიშნავდა საზღვარგარეთ დასვენება.

გამგზავრების წინ, დამსვენებელთა ჯგუფმა, თბილისში, ყოველ შემთხვევისთვის, შევიძინეთ საუკეთესო სუვენირები ბულგარელი მეგობრებისთვის.

მშვენიერ კურორტზე, სახელგანთქმულ „ოქროს ქვიშაზე“, მოგვიხდა ყოფნა, საუკეთესო მომსახურება გვქონდა, – არ მოგვკლებია კონცერტები, თეატრი, კინო, ცეკვა-თამაში...

სამშობლოში გამომგზავრებამდე მოგვიწყეს სამდღიანი მოგზაურობა ბულგარეთის ღირსშესანიშნაობების გასაცნობად.

როგორც ისტორიკოსმა, დიდი ინტერესით დავათვალიერე შიპკას უღელტეხილი, სადაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მიმდინარეობდა. ამ ომში რუსეთის გამარჯვებამ გადაწყვიტა ბულგარეთის ბედი და თურქთა 500-წლიანი უღლისაგანაც გათავისუფლდა იგი.

ვინახულეთ ტოლბუხინო, ტირნოვო და, ბოლოს, გაბროვო.

გაბროვო, მოგეხსენებათ, ანეკდოტების ქალაქია. გაბროვული ანეკდოტები კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. იგი შიპკის უღელტეხილის მახლობლად, მდინარე იანტარის გასწვრივ, მდებარეობს. აქ, ამ ქალაქში, ყოველწლიურად იმართება იუმორის ეროვნული ფესტივალები.

გიდმა, რა თქმა უნდა, გაბროვულ ანეკდოტებთან ერთად, ქალაქის ისტორიაზეც გვიამბო:

ქალაქი მე-14 საუკუნეში დაუარსებია ვინმე მჭედელ გაბროვოს. მადლიერ შთამომავლობას, შემდგომ, მისი ძეგლის დადგმა გადაუწყვეტია. სამწუხაროდ, ქალაქში, მის მესვეურებს, ვერ გამოუძებნიათ ერთი მტკაველი მიწა, სადაც ამ ქალაქის დამაარსებლის ძეგლს დადგამდნენ.

რა უნდა ექნათ?

– თავისუფალი და შესაფერისი ადგილი მხოლოდ მდინარეზეა! – წამოიძახა ხუმრობით ერთმა გლეხმა და ეს ხუმრობა სულ მალე რეალობად იქცა კიდეც! – მდინარე იანტარის შუაგულ, კლდოვან, პატარა მონაკვეთზე, მჭედელ გაბროვოს ძეგლი აღმართეს...

ქალაქის დათვალიერების შემდეგ, სადილად ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში მიგვიწვიეს. რესტორანში შესულ ტურისტებს დიდი დარბაზის გავლამ მოგვიწია, სადაც ბულგარული ქორწილი იყო გამართული. უნებლიედ, თვალი სუფრისკენ გამექცა. გამაოცა მაგიდის სიმწირემ. ყველა მექორწილეს თეფშით წვნიანი ედგა, გვერდით თითო ბოთლი ღვინო და ძალიან ცოტა სასმელ-საჭმელი...

– ეჰ, ქართულო სუფრავ და ჩვენებურო ქორწილო?! – გავივლე გუნებაში.

ის იყო ნასადილევნი იმავე დარბაზით გამოვლას ვაპირებდით, რომ ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელს, კახელ დიმას, ჩვენი შემონახული საჩუქრები გაახსენდა:

– მოდით, ამათ ვაჩუქოთ, მეფე-პატარძალზე უკეთესს ვის ვნახავთ, თავსაც დავამახსოვრებთ ამდენ ხალხსო. მერე, მარჯვენა ხელი მაღლა აასწია და მექორწინეებს ხმამაღლა, რუსულად მიმართა:

– ჩვენ მზიური საქართველოდან ვართ. გთხოვთ, მიიღოთ ეს პატარა საჩუქარი თქვენდამი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად. და... მეფე-პატარძალს საჩუქრები გაუწოდა.

სუფრაზე ერთბაშად ხმაური შეწყდა. ყველა ჩვენ მოგვაჩერდა.

უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ვიფიქრეთ, ვინმე ღვინით სავსე ჭიქას მოგვაწოდებდა და ისე დავლოცავდით წყვილებს, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ განძრეულა, არც მადლობა უთქვამთ.

უხერხული მდგომარეობიდან ისევ დიმამ „გვიხსნა“. იქვე, ახლოს მჯდომ ერთ ჩასუქებულ მამაკაცს, მაგიდიდან ღვინით სავსე ბოთლი ააცალა, დაუკითხავად ჭიქაში დაისხა და ძარღვიანი ქართულით დასჭექა:

– თქვენი პატარძალიც, თქვენი დედაც, ეს რა ხალხი ყოფილხართ!

მერე ბოლომდე გამოცალა სავსე ჭიქა და მაგიდაზე დაახეთქა.

– „სპასიბო, სპასიბო„! – მაგიდის შუაგულიდან დაიძახა ვიღაცამ და, უცებ, მოწონების ნიშნად, ტაშის გრიალმა გადაუარა საქორწინო სუფრას.

ვინ როგორ გაიგო დიმას რუსულ-ქართული ნათქვამი, ღმერთმა უწყის.

ესეც შენი გაბროვო!

რობერტ ბერიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“
მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს 43ა
ტელ: 2–93–27–66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com